



## **დიმიტრი შევარდნაძე – ხელოვნების კურატორი** მარიამ ნატროშვილი

### **ვინ არის დიმიტრი შევარდნაძე?**

დიმიტრი შევარდნაძე არის ფერმწერი, გრაფიკოსი, რესტავრატორი, თეატრისა და კინოს მხატვარი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერბის ავტორი, ქართულ ისტორიულ ძეგლებზე ექსპედიციების ორგანიზატორი, სამხატვრო აკადემიის დაარსების თანამონაწილე, ქართველ ხელოვანთა საზოგადოების და ეროვნული გალერეის დამფუძნებელი, საქართველოში სამუზეუმო საქმის და ხელოვნების მუზეუმის ფუძემდებელი. დიმიტრი შევარდნაძის სახელობისაა ეროვნული გალერეა.

დიმიტრი შევარდნაძე 1937 წელს დახვრიტეს. იგი რეპრესირებული მხატვარი და საზოგადო მოღვაწეა. ამ მიზეზით, მეოცე საუკუნეში, პირველი სტატია მისი საქმიანობის შესახებ მხოლოდ რეაბილიტაციიდან 10 წლის შემდეგ დაიბეჭდა. შალვა ამირანაშვილის წერილი – „ხელოვანის ღვანლი“, 1967 წელს, გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა. ვრცელი ნაშრომი – „დიმიტრი შევარდნაძე“ კი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1998 წელს, ირინე აბესაძისა და



დიმიტრი შევარდნაძე

ქეთევან ბაგრატიშვილის ავტორობით გამოიცა.

კითხვაზე, ვინ არის დიმიტრი შევარდნაძე, ამ სტატიაში ვპასუხობთ ასე – დიმიტრი შევარდნაძე ხელოვნების კურატორია.

ამ სტატიის მიზანია ამ პასუხის დასაბუთებაა.

ამ პასუხის დასაბუთებლად, დიმიტრი შევარდნაძის მოღვაწეობას ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა გავყვეთ. უფრო სწორად, სიტყვა – სიტყვით: არქივებში დაცულ მასალებში, ძველ საგაზეთო სტატიებში, მოგონებებსა და წერილებში აღწერილი მისი საქმიანობა საკურატორო საქმის ფარგლებში წავიკითხოთ.

დიმიტრი შევარდნაძის მიერ დაფუძნებული ქართველ ხელოვანთა საზოგადოება, სურათების ეროვნული გალერეა და ხელოვნების მუზეუმი „მეტეხი“ ამ წერილის ფოკუსშია. ტექსტში ხშირად შეგხვდებათ სტატიების და მოგონებების ვრცელი ფრაგმენტები. განგებ გადავწყვიტეთ ასე, რათა ის დრო – იმ დროის ენითა და იმ დროის მომსწრე ადამიანების მონათხრობით აღვწეროთ.

### **ვინ არის ხელოვნების კურატორი?**

სანამ დროს უკან გადავახვევთ და დიმიტრი შევარდნაძის ეპოქაში დავბრუნდებით, ორი სიტყვით ხელოვნების კურატორის პროფესია უნდა განვმარტოთ.

ვინ არის ხელოვნების კურატორი?

კურატორი არის ის, ვინც იკვლევს, არჩევს, გამოფენს და აღწერს ნამუშევრებს მუზეუმებისთვის, გამოფენებისთვის, ან სხვა კულტურული პროექტებისთვის.

სიტყვა „კურატორი“ ლათინური სიტყვა – cura-re-დან წარმოიშვა. Curare ლათინურად ზრუნვას, მოვლას ნიშნავს. ხელოვნების კურატორის პროფესიის როლი დროსთან ერთად იცვლება და ყალიბდება. თუმცა, არ იცვლება პროფესიის არსი, რაც სიტყვაშიცაა განსაზღვრული – ხელოვნების ნაწარმოებთა მოვლა და მათზე ზრუნვა.

კურატორის პროფესია XVIII-XIX საუკუნეებში, საჯარო მუზეუმების გაჩენას უკავშირდება. იმ დროს, კურატორის ფუნქციას მუზეუმის კოლექციების მოვლა-პატრონობა წარმოადგენდა. პროფესიაც მუზეუმთან, ხელოვნების ინსტიტუციასთან იყო დაკავშირებული. მუზეუმის კოლექციის ახალი ნამუშევრებით გამდიდრება, ხელოვნების ნაწარმოებთა კვლევა და გამოფენების მოწყობა კურატორის თავდაპირველი ფუნქციებია.

დღეს აუცილებელი არაა კურატორი ინსტიტუციასთან იყოს დაკავშირებული. დამოუკიდებელი კურატორები აწყობენ გამოფენებს სხვადასხვა სივრცეში, ხელმძღვანელობენ ბიენალეებს და ფესტივალებს.

ანმყოფი კურატორი მრავლისმომცველი პროფესიაა. პროფესიის მიმართ დამოკიდებულებაც მრავალნაირია. თანამედროვე კურატორები საკუთარ თავს ხშირად „გამოფენის მკეთებელს“ უწოდებენ (exhibition-maker). დღეს, კურატორის როლი – მედიატორის როლია, რომელიც ხელოვანს, ან საზოგადოებას ხელოვნების ნაწარმოების ინტერპრეტაციას კი არ კარნახობს, არამედ გამოფენის ფორმატში ცოდნის გაზიარების თანაბარუფლებიან სივრცეს ქმნის. შვეიცარიელი კურატორის, ჰანს ულრიხ ობრისტის აზრით, კურატორის პასუხისმგებლობა თავისუფალი სივრცის შექმნაა, მისი ოკუპაციის გარეშე; პრაქტიკა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს არტისტებს, პუბლიკას, ინსტიტუციებს და სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს.

საქართველოში საკურატორო სკოლა, ფაქტობრივად, არ არსებობს. კურატორის როლს ხშირად ხელოვნების ისტორიკოსები ითავსებენ, ზოგჯერ – მხატვრები. საკურატორო საქმის საფუძვლების გასაცნობად და გასაგებად, სკოლის ნაცვლად, გვყავს დიმიტრი შევარდნაძე.

დიმიტრის მოღვაწეობა ქართული საკურატორო სკოლის თარგია, გზამკვლევი საკურატორო საქმიანობისთვის.

შევარდნაძის 100 წლის წინანდელი ხედვა დღესაც რელევანტურია. მის მიერ საუკუნის წინ შექმნილი ინსტიტუციის წესდება თანამედროვე სახელოვნებო ინსტიტუციის მუშაობისთვისაც გამოდგება.

დიმიტრი შევარდნაძემ შექმნა ხელოვნების მუზეუმის მტკიცე საძირკველი, არა მხოლოდ კოლექციის სახით, არამედ ინსტიტუციის სრულყოფილი სტრუქტურით. ასე გამართული ინსტიტუცია დღეს, ასე წლის შემდეგ, საქართველოში არ არსებობს.

დავბრუნდეთ მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში და ქართული ხელოვნების ლაბირინთში დიმიტრის საქმიანობის ძაფს გავყვით. დავიწყოთ თავიდან.

დიმიტრი შევარდნაძე 1885 წელს, გურიაში, სოფელ ბახვიში დაიბადა. განათლება ქუთაისში, რეალურ სასწავლებელში მიიღო. 1906 წელს, სწავლის გასაგრძელებლად გერმანიაში გაემგზავრა და მიუნხენის სამხატვრო აკადემიაში ჩააბარა. გერმანიაში სასწავლებლად წასვლაში ჭიათურის მანგანუმის დამამუშავებელი შავი ქვის საბჭო დაეხმარა ფინანსურად. ახალგაზრდა სტუდენტს „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ეხმარებოდა მატერიალურად. სწავლის პარალელურად, დიმიტრი მიუნხენის ერთ-ერთ ფოტოატელიეში მუშაობდა.

ევროპაში ჩასული მხატვარი აკადემიაში მიღებულ განათლებას არ სჯერდება – დიმიტრის სამუზეუმო საქმიანობა აინტერესებს. მიუნხენში ცხოვრებისას აკვირდება ევროპული მუზეუმების მუშაობას, ეცნობა გამოფენების მოწყობის წესს. ამკარაა, რომ შევარდნაძე ჯერ კიდევ მიუნხენში ფიქრობს ქვეყნისთვის ხელოვნების მუზეუმის მნიშვნელობაზე და თავისი მომავალი საქმიანობის კონტურებს ხაზავს.

ევროპაში, მუზეუმების და გამოფენების სტუმრობისას ხედავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისთვის და ერისთვის სიძველეების, კულტურული მემკვიდრეობის თავმოყრას და შესწავლას, ახალი ხელოვნების დაცვას და შეგროვებას, რაც სწორედ მუზეუმის საქმეა.

დიმიტრი ეცნობა ევროპულ მუზეუმებს, დადის გამოფენებზე, რომელთა შესახებაც ქართულ პრესაში აქვეყნებს რეცენზიებს.

1910 წელს, „სახალხო გაზეთში“ იბეჭდება მისი წერილი მიუნხენში გამართულ ისლამური ქვეყნების ხელოვნების გამოფენის შესახებ.

წერილში ვკითხულობთ:

*„აზიაში ჯერ არ არსებობს არცერთი ხეირიანი მუზეუმი, არ არსებობს ისეთი საზოგადოებაც კი, რომელიც, ახლა მაინც, სცდილობდეს თავისი ნაციის ძველ ხელოვნებას პატრონობა გაუწიოს და ყველაფერი უცხოელებს არ გაატაცებინოს“.*

ამ წერილში ჩანს, რომ დიმიტრის, პირველ რიგში, საქართველოზე და საქართველოდან გატანილ ხელოვნების ნიმუშებზე შესტკივა გული. ამ პერიოდში ქართული საზოგადოება ამ საკითხს ძლიერ განიცდის. ეს ის დროა, როდესაც საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილია, ქართული კულტურის ფასდაუდებელი ნიმუშები გაფანტული და დაკარგულია, ძეგლები – შეუსწავლელი.

სამშობლოში არდადეგებზე ჩამოსული შევარდნაძე საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ეწვევა და ექვთიმე თაყაიშვილს გაიცნობს. აქედან იწყება დიმიტრი შევარდნაძის და ექვთიმე თაყაიშვილის თანამშრომლობა. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება

1907 წელს, თბილისში, ექვთიმე თაყაიშვილის ინიციატივით დაარსდა. საზოგადოებას რამდენიმე განყოფილება ჰქონდა: ისტორიის, არქეოლოგიის, ლინგვისტიკის და ნუმისმატიკის. საზოგადოების მთავარ მიზანს საქართველოს ისტორიის, წარსულის და სიძველეების შესწავლა წარმოადგენდა.

1911 წელს, დიმიტრი შევარდნაძეს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრად ირჩევენ.

*„ვმუშაობ მუზეუმებში, საეკლესიო მუზეუმში სიონის ტაძართან, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმში. ვერ წარმოიდგენ, რამდენი რამ საინტერესო არის ჩემთვის ამ მუზეუმებში, საუბედუროდ პატრონი არა ჰყავს ამ ძვირფას განძებს და არც ბინა აქვთ, რომ წესრიგში დაეწყოს ნივთები, ყველაფერი ერთ ოთახში არის მიყრილი და მტკერი აფუჭებს. ეს მუზეუმი ძალიან მდიდარი არის ძველი ხელნაწერებით, რომლებიც ნახატებით არის გავსებული...“* – ციურიხში მცხოვრებ ძმას თბილისიდან წერს დიმიტრი.

დიმიტრი დაინტერესებულია ქართული კულტურის სიძველეების, არქიტექტურისა და ძველი ხელოვნების ნიმუშების შესწავლით. საქართველოში ჩამოსვლისას გულდასმით იკვლევს ყველაფერს, რაზეც ხელი მიუწვდება, მიუნხენში კი აკვირდება და ითვისებს სიძველეების შენახვისა და გამოფენის წესს. სამშობლოში დაბრუნებული დიმიტრი მზადაა უცხოეთში მიღებული ცოდნა და გამოცდილება საქმედ აქციოს.

### დაბრუნება

1916 წელს დიმიტრი შევარდნაძე თბილისში დაბრუნდა.

ასი წლის წინ თბილისი სხვა ქალაქი იყო და ტფილისი ერქვა.

მეოცე საუკუნის 10-იანი წლებში, ტფილისი მნიფდებოდა, რომ პოეტების ფანტასტიკურ ქალაქად ეყვავილა. ომების და მოახლოებული რევოლუციის კვამლით დანისლულ ქალაქში ახალი დრო დგებოდა.

ახალგაზრდა მხატვარი ლუნიხის 23 ნომერში, დღევანდელი ბარნოვის ქუჩაზე, კირილ და ილია ზდანევიჩების მამის სახლში დაბინავდა. დიმიტრის ბინა მალევე იქცა მხატვრების, მეცნიერების, ისტორიკოსების თავშეყრის ადგილად. ამ სახლში დაიბადა მუზეუმის შექმნის იდეა.

აივნიდან თბილისის ხედი იშლებოდა. ჩანდა მეტეხი, მაშინ სხვანაირი – გარშემო ციხით. აივნიდან უყურებდა დიმიტრი თავისი ჩანაფიქრის განხორციელების მომავალ ადგილს, ადგილს, რომელიც მისთვის საბედისწერო

აღმოჩნდა.

*„დიტო უცნაურად, ლამაზად და არაჩვეულებრივად ცხოვრობდა. ეწვეოდით თუ არა ბარნოვის ქუჩაზე, მაშინვე სახლის სახურავზე მიგიპატიჟებდათ, სადაც შეზღოვნები იდგა, შავ ყავას მოგართმევდათ და იწყებოდა საუბარი სურათებსა და ახალ ლექსებზე.“*

*ვიჯექით და შევყურებდით ლამპიონებში ჩაფლულ ქალაქს, ზღაპრული სანახაობა იშლებოდა ჩვენს თვალწინ! დიტოს ბინა პატარა მუზეუმს ჰგავდა, იქიდან ყველა მასპინძელზე შეყვარებული გამოდიოდა“* – მოგონებებში წერს ნიტა ტაბიძე, ტიცციან ტაბიძის ქალიშვილი.

იქ მისვლა თურმე ყველას უხაროდა. დიტოს ბინაში იმართებოდა სხვადასხვა, იმხანად მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობა და სტაბაასი. სტუმრები იყვნენ: ივანე ჯავახიშვილი, იაკობ ნიკოლაძე, ალექსანდრე მრეველიშვილი, მიხეილ ქიაურელი და სხვები.

*„ამ სახლში ჩაისახა ყველა აზრი და იდეა იმ დიდი ეროვნული წამოწყებებისა, რაც ასე აწვალავდა და მოსვენებას არ აძლევდა დიტოს. ეს აივანი იყო ჩვენი შთაგონების და ახალგაზრდული სიხარულის მოწმე“* – იხსენებს გიორგი ერისთავი, დიმიტრის ერთგული მეგობარი.

*„დიტო იყო მეტად კეთილი, უანგარო, თავმდაბალი და დაუზარელი ადამიანი. მუდამ სხვისთვის სიკეთის ქმნისათვის მზადმყოფი. დიდი საზოგადო მოღვაწის თვისებებით დაჯილდოებულს ყოველთვის ახალი იდეები ჰქონდა, უმთავრესად ქართული სახვითი ხელოვნების ძეგლების გამოვლინების, შეკრების, დაცვისა და შესწავლისაკენ მიმართული. რაც მთავარია, დიტოს ჰქონდა საოცარი უნარი თავისი იდეის პრაქტიკულად განხორციელებისა. ენერგიულად შეუდგებოდა ხოლომე საქმეს, მოზღვავებულ ენთუზიაზმს სხვებსაც გადასდებდა და საქმეში ჩააბამდა.“*

1916 წელს, თბილისში, დიმიტრი საქმიანობას სუფთა ფურცლიდან იწყებს. ჯერ არ დაარსებულა ეროვნული მუზეუმი, არ არსებობს სამხატვრო გალერეა, არც სამხატვრო აკადემია და არც ხელოვნების მუზეუმი.

### ქართველ ხელოვანთა საზოგადოება

დიმიტრი შევარდნაძე მიუნხენიდან დაბრუნებისთანავე შეუდგა საქმეს.

დიდი მიზნებისკენ პირველი ნაბიჯი 1916 წელს გადადგა და ქართველ ხელოვანთა საზოგადოება დააარსა. პროფესიული საზოგადოების შექმნით და ხელოვანთა გაერთიანებით, იმ გეგმების

განხორციელება გახდებოდა შესაძლებელი, რომელთა მონახაზიც გონებაში ჰქონდა.

დიმიტრიმ თავის სახელოსნოში შეკრიბა რამდენიმე ხელოვანი და ხელოვნების მოყვარული: გიორგი ჟურული, გიორგი ერისთავი, შალვა ქიქოძე, იოსებ გეგელაშვილი და ქართველ ხელოვანთა საზოგადოების დაარსების განზრახვა გაანდო. ამ წამოწყებას ყველამ დაუჭირა მხარი. მალევე, ჯგუფმა ჩაატარა კრება, რომელზეც ხელოვნების გულშემატკივრები მიიწვია. დიმიტრიმ კრებაზე საზოგადოების წესდების პროექტი წარადგინა. კრებამ წინადადება მოიწონა და ხელოვანთა საზოგადოებაში მთელი ინტელიგენცია გაერთიანდა. ქართველ ხელოვანთა საზოგადოების თავმჯდომარედ გიორგი ჟურული, მის მოადგილედ კი დიმიტრი შევარდნაძე დაინიშნა. როგორც ვახტანგ ბერიძე დაწერს მოგვიანებით, ამ საზოგადოების ფაქტობრივი ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელი დიმიტრი იყო.

ხელოვანთა საზოგადოების წესდებაში განწერილია საზოგადოების საქმიანობის მთავარი მიზნები. წესდება დიმიტრი შევარდნაძის მომავალი გეგმების ჩამონათვალია, მისი to do list. საზოგადოების მიზანია ხელი შეუწყოს მხატვრების, მოქანდაკეებისა და არქიტექტორების გაერთიანებას და ერთმანეთთან შეკავშირებას, საქართველოში ხელოვნების სხვადასხვა დარგის გავრცელებას. ასევე, ძველი ქართული ხელოვნების ნაშთების შეგროვებას, დაცვას და შესწავლას.

ამ მიზნების მისაღწევად საზოგადოებამ უნდა განიოს შემდეგი სამუშაო: დააარსოს ხელოვნების სკოლები; დააფუძნოს და მართოს სამხატვრო გალერეა, სადაც შეაგროვებს და დაიცავს მხატვრობის და ქანდაკების ნიმუშებს; გალერეასთან დააარსოს ხელოვნების ბიბლიოთეკა; გამართოს სამხატვრო გამოფენები, როგორც დროებითი, ასევე მუდმივი და მოძრავიც კი; დანიშნოს პრემიები და სტიპენდიები ხელოვანებისა და მკვლევართათვის; გამოსცეს ჟურნალი ხელოვნების შესახებ ქართულ და სხვა ენებზე; ჩაატაროს ექსპედიციები ძველი ქართული ხელოვნების შესასწავლად; ჩაატაროს ლექციები და გამართოს საჯარო საუბრები ხელოვნების შესახებ; ხელი შეუწყოს ქართული მუზეუმების შევსებას; იზრუნოს სიძველეების შენახვაზე, დაცვასა და რესტავრაციაზე; მოაწყოს მხატვრულ ფასეულობათა მქონე სიძველეების და ეთნოგრაფიული კოლექციების გამოფენები; ხელი შეუწყოს ხელოვნების შინამრეწველობის განვითარებას; ჩაატაროს საზოგადოების კრებები, რომლებზეც წევრები ხელოვნების შესახებ წაიკითხავენ მოხსენებებს.

საზოგადოების გეგმები შთამბეჭდავია. წესდებაში ასახულია დიმიტრი შევარდნაძის ინსტიტუციური ხედვა და მისი მიზნები. საზოგადოების საქმიანობა მოიცავს როგორც საგამოფენო, ისე საგანმანათლებლო

საქმიანობას. წესდებაში გაცხადებულია დიმიტრის განზრახვა შექმნას ინსტიტუცია – მუზეუმი, თავდაპირველად – სამხატვრო გალერეის სახით. ის თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს როგორც თანამედროვე, ისე ძველი ხელოვნების შეგროვებას, დაცვას და გამოფენას.

ჟურნალი, საჯარო საუბრები, ლექციები, ბიბლიოთეკა – ხელოვნების გასავრცელებლად და ფართო საზოგადოებამდე მისატანად მნიშვნელოვანი ამოცანებია. დიმიტრი შევარდნაძე თავადაც მხატვარია. მან კარგად იცის, თუ რა არის საჭირო, რომ მხატვარმა მთელი თავისი დრო შემოქმედებას დაუთმოს. ამოცანათა ჩამონათვალში სტიპენდიები და პრემიები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტია. დიმიტრის წარმოდგენია და სურს დააფუძნოს ევროპული ტიპის ინსტიტუცია, რომელიც იმუშავებს ძველი და ახალი ხელოვნების შესწავლასა და შეგროვებაზე, მოაწყობს გამოფენებს, ექნება საგანმანათლებლო პროგრამა და გამომცემლობა.

*„წესდება იმასაც გვიჩვენებს, რომ დიმიტრი შევარდნაძეს სურდა ისე წარემართა საქმე, რომ თბილისის, საერთოდ, საქართველოს, მხატვრული ცხოვრება ევროპულ დონეზე ასულიყო, ყველაზე მოწინავე ცენტრებს გასტოლებოდა, თავი დაეღწია პროვინციული ჩამორჩენილობისათვის“;*  
– წერს ვახტანგ ბერიძე 1986 წელს, გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ სტატიაში – „ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწე“.

ახალი, იმ დროის თანამედროვე ხელოვნება დიმიტრისთვის რომ მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ საზოგადოების წესდებიდან, პირველი ნაბიჯებიდანაც ჩანს:

*„საზოგადოებამ თავისი მოღვაწეობა დაიწყო იმით, რომ მოიწვია ყველა, ვინც მხატვრობას მისდევდა და მოსთხოვა მათ წარმოედგინათ თავიანთი ნამუშევრები. ამ პერიოდში გ. გაბაშვილის, ალ. მრევლიშვილის, მ. თოიძის, ვ. სიღამონ-ერისთავის, დ. გურამიშვილის, ვ. ჯორჯაძის, გ. ზაზიაშვილის, ი. ნიკოლაძის და სხვათა გვერდით გამოჩნდნენ ახალგაზრდები: ლ. გუდიაშვილი, მიხ. ჭიაურელი, დ. კაკაბაძე, ელ. ახვლედიანი, ქ. მაღალაშვილი, ალ. ზალცმანი, კ. ზდანევიჩი, კ. ზანისი, ზ. ვალიშევსკი, ლე დანტიუ. გაიმართა ნამუშევართა გარჩევა“;*  
– იხსენებს გიორგი ერისთავი.

პირველი გამოფენა, რომელიც ხელოვანთა საზოგადოების ინიციატივით ჩატარდა, ნიკო ფიროსმანის გამოფენა იყო. გამოფენა 1916 წლის 5 მაისს, ილია ზდანევიჩის სახელოსნოში მოეწყო. ერთდღიან გამოფენაზე ძმები ზდანევიჩების კუთვნილი ფიროსმანის ნამუშევრები გამოიფინა. გამოფენაზე შესვლა უფასო იყო. გაზეთ „სახალხო ფურცელში“ გამოქვეყნებულ

გამოფენის რეცენზიაში მხატვარი მოსე თოიძე წერს:

„ზოგიერთისთვის ეს გამოფენა უღირსი და სასაცილო იყო. ზოგმა ამგვარ ნახატების გამოფენა ხელოვნების შეურაცხყოფადაც ჩათვალა. მაგრამ ჩემის აზრით ნ. ფიროსმანაშვილი ისეთი ძლიერი პიროვნებაა, ისე ძლიერად სცემს მისი გული ეროვნული თავისებურებით, რომ არა თუ უნდა გვრცხვენოდეს მისი ნახატების გამოფენის, ჩემის აზრით, მასში უნდა ვეძიოთ ნიადაგი როგორც დაუმუშავებელ ოქროს მადანშია. თუ გვინდა რომ ქართული მხატვრობა სრულიად არ ჩაინთქეს ევროპიულ ხელოვნების რეფლექსებში, არ იქცეს მხოლოდ და მხოლოდ სხვა ეროვნებათა ხელოვნების უმნიშვნელო, დაგვიანებულ, მეთა და მეოცე კოპიოდ და მით არ გაქანდეს გადაგვარების უფსკრულისაკენ, უნდა უარჰყოფს პედანტური თავმოყვარეობა და სანამ ხალხს კიდევ შეუნახავს თითო-ორი ძლიერ პიროვნებაში თავისებური სტილი, ხასიათი, თავისებური ფორმები შემოქმედებისა, უნდა დავეწაფნეთ. აქაა ჩვენი ძალა, სიცოცხლე“.

გამოხმაურებებიდან ჩანს, რომ მხატვრების და საზოგადოების ნაწილი ფიროსმანის შემოქმედებას დაცინვით შეხვდა. კრიტიკის მიუხედავად, ხელოვანთა საზოგადოებას არ შეუწყვეტია ფიროსმანაშვილის ნამუშევრებზე ზრუნვა და მისი შემოქმედების თავმოყრა. მოგვიანებით, 1922 წელს, გაზეთ „ბახტრიონში“ დაიბეჭდა ინტერვიუ დიმიტრი შევარდნაძესთან, სადაც დიმიტრი ამ პერიოდს იხსენებს. ამ ინტერვიუს საშუალებით შეგვიძლია მოვუსმინოთ დიმიტრის და მისი თვალთ დავინახოთ 1916 წელი, ფიროსმანი და ხელოვანთა საზოგადოების პირველი ნაბიჯები.

„მე ჩამოვედი საქართველოში 1916 წელს. ჩამოსვლისთანავე ჩემი ყურადღება მიიქცია სადგურის წინ მდებარე დუქნებში სურათებმა. დაინტერესებულმა მოვიძიე ავტორის ვინაობა და მითხრეს, რომ ეს ნახატები ეკუთვნის ნიკო ფიროსმანაშვილს. 1916 წელშივე შევუდექი ქართველ მხატვართა შეკავშირებას და ამ მიზნით განვიზრახე მხატვართა საზოგადოების დაარსება. შევადგინე სია, რომელშიც შევიტანე აგრეთვე ნიკო ფიროსმანაშვილი, როგორც ხალხური მხატვარი. შემდეგ იმართებოდა საზოგადოების საორგანიზაციო კრებები. ჩვენი სურვილი იყო, მოგვეწვია კრებაზე ეს ლეგენდარული მხატვარი, მაგრამ ეს არც ისე იოლი იყო, ვინაიდან არავინ იცოდა მისი გზა და კვალი. მონახვა და კრებაზე დაჰპატიჟება მივანდეთ მხატვარ ლადო გუდიაშვილს და ზაზიაშვილს. უკანასკნელებმა სამიკიტნოებში და მაღაზიებში კითხვით შეძლეს ამ უცრად მოვარდნილი მხატვრის

მოძებნა და ერთ-ერთ კრებაზე მოჰპატიჟება.

მასზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა იმ გარემოებამ, რომ მხატვრებმა ყურადღება მიაქციეს, თუმცა აქვე ამაყად განაცხადა: „მე საფრანგეთშიაც ვარ ახლა ცნობილიო“. მხედველობაში ჰქონდა ფრანგულ გაზეთებში მოთავსებული ფრანგ ლე-დანტიუს წერილები.

კრების დასრულებისას მე, ჟურნალმა და გოგოლაშვილმა ვთხოვეთ, მოეცა ცნობები თავისი ვინაობის შესახებ. გვითხრა, კახელი ვარ, 8 წლისა დავობლდი და მას შემდეგ ვცხოვრობ ტფილისში. ახლა 60-ზე მეტი წლისა ვიქნებიო.

გამოთხოვებისას მივეცი ერთი თუმანი შემწეობის სახით. ეტყობოდა, რომ უჭირდა მეტად. ფული გამოგვართვა და გვითხრა: „ამით მე ვიყიდი საღებავებს, ერთ სურათს დავხატავ და თქვენ მოგართმევთო“. მართლაც, რამოდენიმე ხნის შემდეგ ფიროსმანაშვილმა მოგვიტანა სურათი სათაურით „ქორწილი კახეთში“. სურათი დახატულია ჩვეულებრივ კალენკორზე და იგი ახლა ინახება ეროვნულ გალერეაში.

პირველი შეხვედრის შემდეგ იგი კვლავ გაჰქრა, როგორც მეტეორიტი და მხოლოდ ლადო გუდიაშვილს ეძლეოდა საშუალება მისი ნახვის. მას რეგულარულად დაჰქონდა მასთან დახმარება.

როცა ერთ დღეს მივიდა იგი ფიროსმანთან და მიუტანა დახმარება, უთხრეს, ნიკა უკვე გარდაიცვალაო.

იგი ცხოვრობდა ნესტიან სარდაფში (მაღაკნის ქუჩაზე #29), ერთ ოთახში, რომლის სივრცე 1 კვ. საჟენს უდრიდა მხოლოდ. იატაკი საღებავებით სავსე ჯამებით იყო მოფენილი. აღსანიშნავია რომ იგი შავ ფერს ამზადებდა ჭვარტლით და უხსნიდა ლადო გუდიაშვილს ასეთი ფერის დამზადებას. კედელზე ჩამოკიდებული ჰქონდა შოთა რუსთაველის დაუმთავრებელი სურათი.

პირველი შეხვედრისთანავე წავიყვანეთ კლართან და გადავიღეთ მისი სურათი, რომელიც მოთავსებული იყო „სახალხო ფურცლის“ დამატებაში.

მისი ცხოვრება იცოდნენ მხოლოდ მიკიტნებმა, ვინაიდან მათთან იყო იგი განუყრელად მხოლოდ.

ჰქონდა მას გენიალური ფანტაზია.

დასასრულო, აღსანიშნავია, რომ ქართული აკადემიური მხატვრობა გულცივად შეხვდა მას და ტეხნიკა დაუწუნა.

ჩემი აზრით კი, იგი იყო ერთადერთი

მხატვარი, რომელმაც ნამდვილი ხალხური გადმოცემის სიციხველით მოგვცა მთელი XIX საუკუნის ქართული ყოფაცხოვრება. აუხსნელ ფენომენად რჩება ჩემთვის ნიკოს უდარებელი ინტუიცია. მას აქვს ერთი სურათი „გიორგი სააკაძე“, რომელსაც უკავია დროშა შვინდისფერით ამეტყველებული. საოცარია, საიდან ჰქონდა ამ ადამიანს ასეთი ცხოველი გრძნობა ეროვნული ფერისა?..

ნიკო იყო მოსული, როგორც ლეგენდა აუხსნელი“.

დიმიტრი შევარდნაძე ფიროსმანს ადარებს მეტეორს, ვარსკვლავს, აუხსნელ ლეგენდას. დიმიტრის კურატორულმა ალლომ არ უმტყუნა. კურატორის ერთ-ერთი როლი ხომ ესეც არის, დაინახოს და წარმოადგინოს უცნობი, ან ნაკლებად ცნობილი მხატვრები. უკვე 100 წლის შემდეგ, შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ ფიროსმანი ქართული ხელოვნების ვარსკვლავია. და რომ არა ძმები ზდანევიჩები და დიმიტრი შევარდნაძე, საქართველოს ხელოვნების ცაზე ეს ვარსკვლავი ვერ იბრწყინებდა.

„ქორწილი კახეთში“, ტილო, რომელიც ნიკომ ხელოვანთა საზოგადოებას გადასცა, პირველი ექსპონატი იყო, რომელმაც საფუძველი დაუდო არა მხოლოდ ნიკო ფიროსმანის სამუზეუმო კოლექციას, არამედ, საერთოდ, საქართველოს ხელოვნების მუზეუმის კოლექციას.

ხელოვანთა საზოგადოების მიერ მოწყობილი ფიროსმანაშვილის გამოფენა კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ დიმიტრისთვის მნიშვნელოვანია ახალი მხატვრობა. მაგრამ, როგორც ჩანს, იმ დროის ტფილისის საზოგადოებას ნაკლებად აინტერესებს თანამედროვე ხელოვნება. არ აინტერესებს, რადგან ვერ ხედავს მას და ვერ ამყარებს მასთან კავშირს. ახალ ხელოვნებას საზოგადოებასთან სჭირდება მედიატორი, ხელოვნების კურატორი, რომელიც მხატვართა შემოქმედებას საზოგადოების თვალწინ გადამშობს.

იმდროინდელ პრესაში, სხვადასხვა წერილებში წერენ, რომ მხატვრობა ჩანასახშია. ჩანასახოვან მდგომარეობაში მყოფი სახვითი ხელოვნებისთვის კი მნიშვნელოვანია ზრუნვა, შეგროვება, გამოფენა და მხარდაჭერა, ანუ ის ნაბიჯები, რაც დიმიტრის ხელოვანთა საზოგადოების წესდებაში აქვს განწერილი და ახორციელებს კიდევ ყოველდღიურად.

1916 წლის ივნისში, გაზეთ „სამშობლოში“ გამოქვეყნდა წერილი – „ჩვენი ხელოვნება“. წერილის ავტორი მითითებული არ არის. წერილი მკითხველს ხელოვანთა საზოგადოების დაარსების შესახებ აუწყებს. წერილში ჩამოთვლილია საზოგადოების მიზნები, მაგრამ საგანგებოდაა გამოყოფილი ერთ-ერთი მათგანი – ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ქართული ხელოვნების ნაშთთა შესასწავლად.

„დიდებული საქმეა ეს, იმიტომ რომ, ხელოვნების ნაშთებს შეისწავლის არა ისტორიკოსი – მეცნიერი, რომელშიაც გონებრივ მუშაობას მოუკლავს ყოველივე გრძნობა, აღმაფრენა, არამედ მხატვარი, რომელიც თავის ნიჭისა და უნარის მიხედვით, ძველ ქართულ ხელოვნების ნაშთთაგან განცდილ შთაბეჭდილებას აშობიებს ახალ ნაწარმოებს ხელოვნებისას.

აქამდე თუ ისტორიკოსები, მეცნიერები გვაწოდებდნენ ამ ნაშთთა მშრალ აღწერილობას, ახლა ჩვენი მხატვრები მოგვცემენ მხატვრულ განმარტებას ამ ნაშთთა, ცოცხალ სულს ჩაჰბერავენ და თავის ახალ ნაწარმოებთა საშუალებით გვაგრძნობინებენ სულს ქართული სამხატვრო ხელოვნებისას.

თუ ჩვენ გვინდა გვქონდეს ოდესმე ქართული ახალი მხატვრობა, ამისთვის აუცილებლად საჭიროა გრძნობა ჩვენი ძველი მხატვრობის სულისა, ვინაიდან იგი გამომხატველია ჩვენი საკუთარი, ნაციონალური ელფერისა; მხოლოდ ნაციონალური ელფერი და თავისებურება არის ისეთი რამ, რასაც, ძალუძს, უეჭველია, გამოაღებინოს სათანადო ნაყოფი ხელოვანის შემოქმედებას, ნაციონალური სული ისეთი მამოძრავებელი ძალაა, რომელიც აცხოველებს ხელოვანის ფანტაზიას და აღრმავენს.

გადაავლეთ თვალი და დარწმუნდებით, რომ ხელოვნების ყველა ნაწარმოები მატარებელია ღრმა ნაციონალური სულისა. მოაცალეთ მას ეს ნაციონალური ელფერი და თავისებურება და მათგან არაფერი აღარ დარჩება“.

იქნებ ამ წერილის ავტორი თავად დიმიტრი შევარდნაძეა... რომც არ იყოს, იგი აშკარად იზიარებს წერილში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ახალი მხატვრობის დაბადებისთვის, ძველი მხატვრობის დანახვა და გრძნობაა საჭირო.

ახალი ქართული ხელოვნების საძირკველი – ძველი ქართული ხელოვნება უნდა გახდეს.

### **ექსპედიციები. ძველი ქართული ხელოვნების შესწავლა**

ქართული სიძველეების შესწავლით დიმიტრი სტუდენტობის დროსაც იყო დაინტერესებული. ხელოვანთა საზოგადოების დაარსებამდე, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ, წინარეხში მოწყობილ ექსპედიციებში მონაწილეობდა, სადაც მაღალაანთ ეკლესიის ფრესკის პირები გადმოიღო.

ხელოვანთა საზოგადოების დაარსების შემდეგ კი, 1916 წელს, ექვთიმე თაყაიშვილმა დიმიტრის ახალი ექსპედიციისთვის მხატვართა ჯგუფის შედგენა მიანდო. ეკლესიებიდან, რომლებშიც

მხატვრობა დაცული არ იყო და ნადგურდებოდა, მხატვართა ჯგუფს ფრესკების ასლები უნდა გადმოეღოთ, ანუ გადმოეხათათ. დიტომ შეადგინა მხატვრების ჯგუფი: მოსე თოიძის, ლადო გუდიაშვილის, მიხეილ ჭიაურელის და გიორგის ერისთავის შემადგენლობით.

ექსპედიცია სოფელ ნაბახტევში გაემგზავრა და ამირეჯიბების საგვარეულო, ერთნავიან ეკლესიაში იმუშავა. ეკლესიას არ ჰქონდა სახურავი, არ იყო დაცული წვიმისგან, ქარისგან და მზისგან, შედეგად, XV საუკუნის ფრესკები ფუჭდებოდა და ნადგურდებოდა.

1985 წელს, სტატიამი – „ხელოვანი და მოქალაქე“, ინგა ლორთქიფანიძე წერს:

*„დიმიტრი იმთავითვე ზრუნავდა საერო კორტრეტების შეკრებაზე. მან კარგად იცოდა, რომ ქართულ ეკლესიებში ისტორიულ პირთა კორტრეტები იყო დაცული და უნდოდა მათგან გადაღებული ასლებით მომავალ მუზეუმში ცალკე კოლექცია შეექმნა. ნაბახტევში კი ამირეჯიბთა საგვარეულო ჯგუფური კორტრეტი იყო წარმოდგენილი – ქუცნა ამირეჯიბი და მისი ოჯახი“.*

შემდეგი ექსპედიცია ხელოვანთა საზოგადოებამ დავით გარეჯში მოაწყო, 1917 წელს კი, საეთნოგრაფიო-საისტორიო საზოგადოებასთან ერთად, ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით, მხატვრები ტაო-კლარჯეთში გაემგზავრნენ. ეს ექსპედიციები ახალგაზრდა მხატვრებისთვის ერთგვარი სკოლაც იყო. მათ შესაძლებლობა მიეცათ ეკვლიათ და ემუშავათ ძველ ქართულ კედლის მხატვრობაზე, რაც მათი

შემოქმედების მტკიცე საფუძვლად იქცა.

ქართული კულტურის ძეგლებზე ექსპედიციების მოწყობა არა მხოლოდ ქართული ხელოვნებისთვის და მხატვრებისთვის არის მნიშვნელოვანი, პირველ რიგში, ეს დიდი ეროვნული საქმეა. იმდროინდელ საქართველოში ძეგლები მოუვლელი, შეუსწავლელი და მივიწყებულია, ფრესკები ზიანდება, ეკლესიები ინგრევა. ქვეყნის ისტორია და კულტურა ირეცხება და ნადგურდება.

რუსეთის პროვინციად ქცეული ქვეყნისთვის ძველი ქართული ხელოვნების შესწავლა და შენარჩუნება ეროვნული იდენტობის განმტკიცების საკითხია. ხელოვნება ხომ მხოლოდ თავის დროისთვის არ არის მნიშვნელოვანი, ხელოვნება მომავალსაც განსაზღვრავს. ქართული შუა საუკუნეების ხელოვნებამ უნდა განამტკიცოს მეფის რუსეთის მიერ დაპყრობილი ერის ცნობიერება.

ჯერ კიდევ 1909 წელს, გაზეთ „დროებაში“, მიხეილ ჯავახიშვილი აქვეყნებს სტატიას – „ეროვნული მუზეუმი“, რომელშიც საქართველოში ეროვნული მუზეუმის შექმნის აუცილებლობაზე წერს და წუხს ქართული ისტორიული ძეგლების მდგომარეობის და ქართული ხელოვნების ნიმუშების უცხოეთში გატანის გამო:

*„ქართველმა ერმა ოცი საუკუნის გზა განვლო და მცირე ერთა სულიერ და გონებრივ კულტურის საღაროში თავისი მცირე წვლილი შეიტანა. მაგრამ სწორეთ იმ დროს, როცა დადგა ხანა ამ ერთა განახლებისა და აღორძინებისა, ბრმა ჩარხის უკულმა ტრიალისა და*



ნიკო ფიროსმანი, „ქორწილი კახეთში“, მუშამბა, ზეთი. 1916 წ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი

ქართული დაუდევრობის გამო, ლამის სამუდამოდ ამოიშალოს კაცობრიობის ისტორიის წიგნიდან ის ერთი ფურცელი ქართველის შესახებ, რომელიც ესოდენ სისხლითა და ცეცხლით არის ჩაწერილი ჩვენი მამა-პაპებისა და წინაპრების მიერ. მთელი ნადვანი და ნაამაგარი ქართველის სულიერ და გონებრივ შემოქმედებისა, მწვავე ალში გატარებული და ათას თაობის ოფლში ნაწრობი, მეცხრამეტე საუკუნის კარებამდე იქნა მოტანილი და ჩაბარდა ახალ თაობასა და ახალ ძალებს იმ იმედით, რომ ისინი ძველს ახალს მიუმატებდნენ, გაზრდიდნენ, დაამშვენებდნენ და გამაგრებდნენ ეროვნულ კულტურის ტაძარს.

მაგრამ, ისინიც მოტყუვდნენ და ჩვენც მოვტყუვდით.

სრული ერთი საუკუნე გადის, რაც მთელ განათლებულ ქვეყნის აგენტები დაუკითხავად დაძრწიან ჩვენს უპატრონო მამულში და დაუკითხავადვე გააქვთ უცხოეთში უკანასკნელი ნაშთები და ნანგრევები ჩვენი შემოქმედებისა და წარსული დიდებისა, ჩვენი ნაშრომი და ნაამაგარი, ღვაწლი და ანდერძი ჩვენი წინაპრებისა. თვითეული ნაშთი, საქართველოდან გატანილი, ნაფლეთია ჩვენი ერის სულიერ სხეულისა, ერთი ჯამი სისხლია იმის სხეულისა, ნაკვთია იმის ტანისა, ნაწილი მისი სულისა.

მას აქეთ, რაც ჩვენი ბედის ჩარხი უკუღმა

დატრიალდა, ჩვენი ისტორიული ნაშთები ხელიდან გვეცლებოდა და გვეცლება. ყველაფერი მიაქვთ, რის წაღებაც კი შეიძლება, ზოგს ფულით, ზოგს ქურდულად და ზოგსაც ავაზაკურად. კულტურული ქურდობა ჩვენში ისეთ ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა, რომ თვითონაც ჩვენ, ხშირად ჩვენ პატივსაცემადაც კი მიგვაჩნია, როცა რომელიმე მოხეტიალე ავანტიურისტი აქედან რაიმე ძვირფას განძს წაიღებს „საჩვენებლად“, „სახსოვრად“ და ჩვენი სახელის „გასაცნობად“. თვალ-მარგალიტი და ძვირფასი ნივთი რომ აღარ იკმარეს, ჩუქურთმებსა და არქიტექტურის ნაშთებს მიჰყვეს ხელი. მაგრამ წაღებას ვიღა ჩივის! რაც დარჩა, ისიც გააოხრეს, გაატიალეს, წარყვინეს, მოსპეს და აღგავეს მათი ხსენება გულთა ჩვენთაგან. გაიხსენეთ თუნდაც შესანიშნავი ფრესკული მხატვრობა საფარისა, მცხეთისა, ალავერდისა და მრავალ სხვა მონასტრისა. სხვაგან ასეთ ნაშთს ისე უფროთხილდებიან, როგორც თვალის კაკალს, ჩვენში კი ჩვენმა განმანათლებლებმა მადლი დაგვდეს და წაღესეს საუკეთესო ნიმუშები ჩვენი მხატვრობისა, ჩვენი სულიერ ავლადიდების და კულტურული სიმდიდრისა.

მაგრამ, ყველაფერს სხვებს ნუ დავაბრალებთ და ჩვენს უბედურებაში ბრალი ჩვენც დავიდოთ. ჩვენ რომ გვეცოდნოდა ფასი ჩვენი წარსულისა და გვექონოდა ცოტაოდენი უნარი



თბილისი, გოლოვინის პროსპექტი და დიდების ტაძარი, ღია ბარათი

ჩვენი უფლების დაცვისა, სხვებს არ გავაოხრებინებდით და არ დავანებებდით არც საფარას, არც ახტალას, არც ბოდბეს და არც გატანილ სიმდიდრეს. რაც წაიღეს, წავიდა და აღარ დაბრუნდება. თუ შნო და უნარი შეგვჩვენს, ის მაინც შევინარჩუნოთ, რაც წაუღებელია, რაც დაგვრჩა და რაც ჯერ-ჯერობით ისევ ჩვენს ხელშია. ჯერ კიდევ გვიან არ არის, და თუ ერს ერობა უნდა, თუ კიდევ აქვს სურვილი და უნარი თავის თავის შენახვისა, ძალა სიცოცხლისა და ცოტაოდენი ენერჯია, შეიძლება დარჩენილის შეგროვებაც, მისი შერჩენაც და პატრონობაც. შეგროვებასა და შერჩენას კი უნდა მუშეუმი“.

1916 წელს, ეროვნული მუზეუმი, სადაც ქართული კულტურის ძველი ხელოვნება მოიყრის თავს, ჯერ კიდევ არ არსებობს. მუზეუმის შექმნა ეროვნული და პოლიტიკური საკითხია. ასევე, ეროვნული მნიშვნელობა აქვს ყველა ნაბიჯს, რომელიც ქართული ძეგლების შესწავლისთვის არის გადადგმული.

ეროვნული მუზეუმის შექმნაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია ხელოვნების მუზეუმის შექმნა. ეროვნულ მუზეუმში ძველმა ქართულმა ხელოვნებამ – წარსულმა უნდა დაიდოს ბინა, ხელოვნების მუზეუმში კი ახალი ხელოვნება – აწმყო უნდა გამოიფინოს.

ხელოვნების მუზეუმის დაარსება დიმიტრის უკვე ჩაფიქრებული აქვს. მან იცის, რომ ქვეყნისთვის და მისი მომავლისთვის მხოლოდ წარსული ხელოვნება არაა საკმარისი. სწორედ ახალი ხელოვნება აჩვენებს ცოცხალია, თუ არა ქვეყანა დღეს და როგორია მისი მომავალი.

### საგამოფენო საქმიანობა და დიდების ტაძარი

დიმიტრი შევარდნაძე პროფესიით მხატვარია. პროფესია მას საკურატორო საქმიანობაში ეხმარება – არა მხოლოდ იმიტომ რომ, ზუსტად იცის, თუ რა სჭირდება მხატვარს, არამედ იმიტომაც, რომ მხატვრის პროფესიაში კვლევაზე მეტად პრაქტიკა, ანუ მოქმედებაა მნიშვნელოვანი.

ხელოვანთა საზოგადოების წესდებაში ერთ-ერთი პუნქტი სამხატვრო გალერეის შექმნაა. დიმიტრის წესდების სხვა პუნქტების, ანუ თავისი მიზნების განხორციელებისთვის ადგილი სჭირდება, სივრცე, სადაც ძველი და ახალი მხატვრობა გამოიფინება, სადაც ქართული ხელოვნება დაიდებს ბინას.

წარმოვიდგინოთ საუკუნის წინანდელი თბილისი. მაშინ თბილისი სხვანაირი ქალაქია. ახლანდელ რუსთაველის პროსპექტს – გოლოვინის სახელი ჰქვია. დღევანდელი პარლამენტის შენობის ადგილას – კავკასიის არმიის ტაძარი დგას, რომელიც 1870 წელს, მეფის რუსეთის მიერ კავკასიის დამორჩილების აღსანიშნავად აშენდა.

აღექსანდრეს ბაღი თბილისის პირველი საჯარო

ბაღია. ბაღის მხარეს, გოლოვინის პროსპექტზე, სამხედრო – ისტორიული მუზეუმი დგას, დიდების ტაძარი, დღევანდელი ეროვნული გალერეა.

სამხედრო-ისტორიული მუზეუმი თბილისში 1888 წელს, კავკასიაში რუსეთის არმიის წარმატებების აღსანიშნავად დაარსდა. მუზეუმის შენობა 1892 წელს დასრულდა. შენობის არქიტექტორი ალბერტ ზალცმანია. ზალცმანმა მუზეუმის პროექტისთვის რომის საგამოფენო სასახლე – Palazzo delle Esposizioni გამოიყენა, შეცვალა მასშტაბი და რომის გალერეის მსგავსი შენობა დააპროექტა. მუზეუმის ექსპოზიციის მოწყობა 1907 წელს დასრულდა და სამხედრო მუზეუმი – დიდების ტაძარი საზეიმოდ გაიხსნა.

დარბაზებში იარაღი, დროშები, ხმლები, რუსეთის იმპერიის ჯარის მიერ სხვადასხვა ბრძოლებში მოპოვებული ნადავლი იყო გამოფენილი. ბატალური სცენების ამსახველი სურათები და რუსი სამხედროების პორტრეტები კედლებზე, ქერიდან – იატაკამდე ეკიდა. გამოფენილი იყო გეორგიევსკის ტრაქტატი, ფრანც რუბოს ტილო, რომელიც 1799 წელს, რუსული ჯარის თბილისში შემოსვლას ასახავდა. შენობის მთავარ ფასადზე მიკრული იყო ლითონის დაფები – კავკასიის ომში, რუსეთის ჯარის მნიშვნელოვან გამარჯვებათა თარიღებით და ცნობებით.

ერთი სიტყვით, დიდების ტაძარი კავკასიისა და საქართველოს დამორჩილების, რუსული იმპერიალიზმის სიმბოლო იყო.

პირველი მსოფლიო ომის საფრთხის მოახლოების გამო, 1916 წელს, მუზეუმში გამოფენილი ნივთები რუსეთში გაიტანეს.

შენობა დაცარიელდა.

სამხატვრო გალერეის ბინად დიმიტრიმ დიდების ტაძრის შენობა შეარჩია.

სამუზეუმოდ აშენებულ შენობას, რომელიც საგამოფენო გალერეის ასლს წარმოადგენდა, ზედა განათება ჰქონდა, ანუ ქერი შემინული იყო და დარბაზი დღის სინათლით ნათდებოდა, რაც შენობის სამხატვრო გალერეად შერჩევას მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენდა.

დიდების ტაძარში პირველი – ძველი ქართული კედლის მხატვრობის ასლების გამოფენა დიმიტრი შევარდნაძემ 1917 წელს, ნაბახტევის ექსპედიციიდან დაბრუნების შემდეგ მოაწყო. ეს ქართული ფრესკული მხატვრობის პირველი გამოფენა იყო, პირველი ხიდი ქართულ სახვით ხელოვნებასა და საზოგადოებას შორის.

„1917 წლის იანვარში, დიტოს თაოსნობით, დიდების ტაძარში გავმართეთ გამოფენა ნაბახტევისა და აგრეთვე ქ. კრონის, დ. შევარდნაძის და დ. კაკაბაძის მიერ ადრე შესრულებული ფრესკის პირებისა. გამოფენის გახსნის დღეს გალერეა ხალხით გაივსო. საზეიმო ხასიათს ხელს

უწყობდა დამსწრეთა განწყობილებას. გალერეის ბოლოს დადგმული იყო კათედრა, საიდანაც ე. თაყაიშვილმა, გამოფენის გახსნის წინ, სიტყვით მიმართა საზოგადოებას. მან ილაპარაკა გამოფენის მნიშვნელობისა და მატერიალური კულტურის დაცვის შესახებ და გამოთქვა სურვილი, რომ ამ საქმეს სისტემატური ხასიათი მისცემოდა. ბოლოს აღნიშნა მხატვრების ღვაწლი და დიდი მადლობა მოგვიხადა. განსაკუთრებით აღნიშნა დიტოს ღვაწლი. გამოფენამ საზოგადოების უჩვეულო ინტერესი და აღტაცება გამოიწვია, ყველას სახეზე სიამოვნების ღიმილი უკრთოდა. იდგნენ ფრესკების წინ გაკვირვებულნი და არ იშლებოდნენ. ჩვენთან ყველაანი რიგრიგობით მოდიოდნენ, ხელს გვართმევდნენ და გვილოცავდნენ“ – ვკითხულობთ გიორგი ერისთავის მოგონებებში.

გაზეთში დაიბეჭდა მოკლე ცნობა გამოფენის შესახებ:

„ქართულ ფრესკების გამოფენა გაიღო გასულ კვირას, 8 იანვარს, დიდების ტაძარში, ექვთიმე თაყაიშვილის შესავალი სიტყვით. პირველ დღეს, თუმცა შესვლის ფასი თითო მანეთი იყო, მაინც დიდძალი საზოგადოება და ხალხი დაესწრო; იყვნენ რუსები, თათრები, სომხები, და სხვა.

დაესწრნენ: სახელმწიფო საბჭოს წევრი თავ. კ. აფხაზი, ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი, ქართულ კულტურულ დაწესებულებათა და პრესის წარმომადგენელნი და სხვანი. გამოფენა ფრიად საყურადღებოა, როგორც ეროვნულის, ისევე მეცნიერულის თვალსაზრისით, შესასვლელი ფასი 50 კაპიკია (მოწაფეთა 25 კაპიკი). გამოფენა ღიაა დილის 10-4 საათებში“.

ფრესკების ასლების გამოფენას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. საზოგადოების თვალწინ გადაიშალა საქართველოს სხვადასხვა მხარეში გაფანტული კედლის მხატვრობის ნიმუშები. გამოფენის შესახებ პრესაში რამდენიმე წერილი დაიბეჭდა. წავიკითხეთ რამდენიმე ფრაგმენტი:

„თითქო ახალი ქვეყანა გაიხსნა ჩვენ თვალ წინ – ნაცნობი, მაგრამ დავიწყებული. ასეთ შთაბეჭდილებას ჰქმნის ძველი ქართული მხატვრობის გამოფენა, რომელიც ქართველ ხელოვანთა საზოგადოებამ მოაწყო „დიდების ტაძარში“.

უბადლო კულტურული მნიშვნელობა აქვს ასეთ ხილვას. ჩვენი სამშობლოს ასაღორძინებლად მარტოდენ პოლიტიკური ბრძოლა არ კმარა. ეროვნული განახლება ხელოვნების შემწეობითაც უნდა მოხდეს. მშვენიერების ძიებამ და მშვენიერების განცდამ ფართო სოციალური ხასიათი უნდა მიიღოს.

დემოკრატია უნდა გაკეთილშობილდეს რჩეული სულის ჯადოსნური შეხებით.

ჩვენი წარსული, ჩვენი ისტორიული ტრადიცია საუკეთესო ნიადაგს იძლევა ხალხისა და ესთეტიური კულტურის შესაუღლებლად. ქართული ხელოვნება არასოდეს არ ყოფილა განკერძოებული და მიუწდომელი, ქართველ მწერლებსა, ხელოვანებსა და მხატვრებს არასოდეს არ ჰქონიათ მიუკარებელ ქურუმთა კასტის ხასიათი. მათი შემოქმედება გულგაშლილი იყო მზის სინათლესავით, რომელიც ერთნაირი სიუხვით უნათებს დიდსა და პატარას, მონასა და მბრძანებელს. ჩვენი ხელოვნება დამწყვდეული არ ყოფილა არც პირამიდებში, სადაც მხოლოდ ფარაონებს სძინავთ, არც წმიდათა წმიდა საკურთხეველში, სადაც მხოლოდ მღვდელ-მთავრები შედიან, არც ციხე-კოშკებში, სადაც მხოლოდ რაინდები სცხოვრობენ, არც სალონებში, სადაც მხოლოდ არისტოკრატები მოძრაობენ. ქართული ტაძრები და სრა-სასახლეები ხშირად ბორცვებსა და გორაკებზე შენდებოდა, რათა ყოველ თვალხილულ არსებას შესძლებოდა მათი დანახვა, შენობის კედლები ჩუქურთმებითა და მხატვრობით იყო დადასტურებული, რათა ყველასათვის მისაწდომი ყოფილიყო დიდი ხელოვნება“ – გერონტი ქიქოძე, „განახლების დასაწყისი“, გაზეთი „საქართველო“;

„ნაშთი ძველი დიდებისა არ გამქრალა ჯერაც კიდე!“, – აკაკი.

ყოველი ქართველის საამაყო დღე იყო გასული კვირა – იანვრის 8. ამ დღეს თბილისის „დიდების ტაძარში“ ვნახეთ ჩვენი დიდებული წარსულის ხელოვნების ნაშთები, – ქართული საეთნოგრაფიო-საისტორიო და ქართველ ხელოვანთა საზოგადოებათა მიერ გამოფენილი.

გვიჩვენეს ძველი დიდებული საქართველოს ნაშთები, გვიჩვენეს ჩვენი წარსული თვითშემოქმედება, საკუთარი სული, საკუთარი სახე...

აქ გამოფენილია საქართველოს ძველ ეკლესია-მონასტრებში დაცული, ნახევრად წაბლალულ-გადარეცხილი ნახატ-სურათების ასლნი. ეს სურათები გვიჩვენებს მხატვრობის ხელოვნებას, ძველი დროის ქართველთ ჩაცმა-ტანისამოსის მრავალფეროვნებას, სახეთა სხვა და სხვაობას. გადაღებულია უძველესი ტაძრები, რომელთა ჩუქურთმები და მოყვანილობა თვალსა გჳრით.

ყოველი ფრესკა გადაღებულია დიდის სიფრთხილით, ფერების მტკიცე დაცვით, თვით ყალბ ნაჯღაბნებითაც კი, ერთ ფრესკაზე – ჩვენი დროის ველურისგან

რუსული ნაჯღაბნიც კი.

ფრესკები გადმოუღიათ უმთავრესად ახალგაზრდა მხატვრებს: ლ. გუდიაშვილს, გ. ერისთავს, ირ. თოიძეს, დ. კაკაბაძეს, დ. შევარდნაძეს, მ. ჭიაურელს, გ. ხმალაძეს. რამდენიმე ფრესკა ნამუშევარია ცნობილი მხატვრის მ. თოიძისა, ნორვეგიელ მხატვრის ქრ. კრონის, გრინევსკისა, ქიუნიის. დახმარება აღმოუჩენია მუსაევსაც.

ჩვენი ისტორიკოსი თ. ჟორდანია ტყუილად კი არ შეღადადებდა ყველას, ჩქარა უპატრონეთ და გადმოიღეთ, რაც ძველ მონასტრებშია დაცული, თუ გსურთ ძველებური ქართული იერი, ტანისამოსი, ჩაცმა-მორთულობა შეისწავლოთ და სამშობლო ხელოვნების აღყვავებას საძირკველი ჩაუყაროთ.

**დაიღაც, ჩვენი ხელოვნების გაფურჩქვნა მხოლოდ ჩვენი წარსულის ნაშთების შესწავლა-აღდგენაზე უნდა დაფუძნდეს...**“ – იოსებ არიმათიელი, „ნაშთი ძველი დიდებისა“, ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“.

დიმიტრი შევარდნაძემ ძველი ქართული ხელოვნების შესწავლით, მხატვრების მიერ ექსპედიციებში გაკეთებული ასლების გამოფენით, ახალი ქართული ხელოვნებისთვის მოამზადა ნიადაგი. ქართული კედლის მხატვრობის გამოფენით საზოგადოებას აჩვენა, რომ საქართველოში მხატვრობის დიდი ტრადიცია არსებობდა და ქართული დაბგური

ფერწერა შუა საუკუნეების კედლის მხატვრობის გაგრძელებაა.

საგაზეთო სტატიებშიც ხომ ამას წერენ, ფრესკების გამოფენას განახლების დასაწყისად და ხელოვნების გაფურჩქნის საწინდრად მოიხსენიებენ.


დიდების ტაძარში მოწყობილ პირველ გამოფენაში ერთიანდება ძველი და ახალი ქართული ხელოვნება, წარსული და აწმყო – შუა საუკუნეების ფრესკების ასლები ახალგაზრდა მხატვრების მიერაა შესრულებული. ამ გამოფენით დიმიტრიმ საფუძველი ჩაუყარა და საძირკველი განუმტკიცა ახალ ქართულ ხელოვნებას.

გამოფენის დახურვის შემდეგ დიმიტრი ყოფილი სამხედრო მუზეუმის, დიდების ტაძრის შენობიდან აღარ გამოსულა. როგორც გიორგი ერისთავი იხსენებს, დიტომ შენობა ქართველ ხელოვანთა საზოგადოებისთვის დაისაკუთრა, შიშობდა, რომ შენობაში არავინ ჩასახლებულიყო. ამიტომ, თავისი ბინა მიატოვა, საცხოვრებლად შენობის ნახევარსარდაფში გადავიდა და შენობას სდარაჯობდა.

დგებოდა ახალი დრო.

1917 წელს, რუსეთში რევოლუცია მოხდა. რუსეთის იმპერია დასრულდა.

1918 წლის 26 მაისს, ეროვნულმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა.



თბილისი, გოლოვინის პროსპექტი და დიდების ტაძარი, ღია ბარათი

დამოუკიდებლობის რამდენიმე წელი ქართული კულტურისთვის უმნიშვნელოვანესი პერიოდია – ქართული კულტურის აყვავების ხანა.

დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა, სიდუხჭირის მიუხედავად, ხელგაშლილია და ცდილობს მხარი დაუჭიროს ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებს. დიმიტრის მიზნების განხორციელებისთვის ეს საუკეთესო დროა.

1918 წელს, ივნისში, ქართველ ხელოვანთა საზოგადოებამ განათლების მინისტრს წერილით მიმართა:

„ქართველ მხატვართა საზოგადოება“ დიდ გაჭირვებას განიცდის შესაფერ ბინის უქონლობის გამო. საზოგადოებას ვერ მოუწყვია სამხატვრო სკოლა და ბიბლიოთეკა, ვერ მართავს სურათების გამოფენას. ტფილისში კი არსებობს ერთი შენობა, ეგრეთ წოდებული „დიდების ტაძარი“, რომელიც დიდად გამოადგება მხატვართა საზოგადოებას. დღეს ეს შენობა საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებას შეადგენს. ჩვენ ვშუამდგომლობთ თქვენს წინაშე, რათა მოხსენებული შენობა, გადაეცეს ქართველ მხატვართა საზოგადოებას, რომელსაც განზრახული აქვს, ამ მოკლე ხანში მოაწყოს ქართველ მხატვართა სურათების გამოფენა“.

1919 წლის მარტში, გაზეთ „საქართველოში“ დაიბეჭდა სტატია – „ქართულ ხელოვნებისთვის“. ავტორი მითითებული არ არის. ეს ტექსტი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის იმდროინდელი განწყობების შესახებ, ამიტომ გთავაზობთ რამდენიმე ფრაგმენტს:

„პოლიტიკურ დამოუკიდებლობას თავისთავად დიდი ფასი არ ექნება, თუ ქართველმა ხალხმა სულიერ კულტურის ავტონომია არ მოიპოვა. 26 მაისის აქტი მხოლოდ მაშინ იქნება საკვებით გამართლებული, თუ ჩვენ შევქმნით, არა მარტო მოწყობილ ეროვნულ სახელმწიფოს, არამედ იდეების და ფორმების ახალ რიგს, რომელიც ჩვენ სულიერ ენერჯიას და ძირითად ინსტინქტებს გამოხატავს.“

თვით სულიერ კულტურაში მეცნიერება უფრო ობიექტური და უპიროვნოა, ხოლო ეროვნულ თავისებურებას უკეთესად ხელოვნება ჰხატავს. ამიტომ, ხელოვნებას შეუდარებელი მნიშვნელობა აქვს ეროვნულ თვითცნობიერების განვითარებისთვის.

მიძინებული საზოგადოებრივი აზროვნების პირველი შენძრევა თითქმის ყოველთვის რომელიმე ესთეტიურ აქტით იწყება, დიდი პოემისა ან მუსიკალურ ნაწარმოების დაწერა, ხშირად, რამდენიმე დიდ ბრძოლის მოგებას უდრის.

სამწუხაროდ, ქართველი ხელოვნება დღეს უმწეო მდგომარეობაში იმყოფება.

სოციალურ და ეკონომიურ თვალსაზრისით, ხელოვნება ერთგვარი კომფორტია და თუმცა, როგორც მეცნიერებამ დაამტკიცა, პირველყოფილ ადამიანს ხატვა უფრო ადრე უსწავლია, ვიდრე სახლის აშენება და საჭმლის მომზადება, თანამედროვე ესთეტიურ კულტურის შესაქმნელად განსაკუთრებული ქონებრივი დოვლათი და განსაკუთრებული მზრუნველობაა საჭირო. მაგრამ ვინ უნდა გამოიჩინოს ეს მზრუნველობა, თუ არა თვით სახელმწიფომ, რომელიც დღეს უდიდეს ეკონომიურ ორგანიზაციას წარმოადგენს? დემოკრატიულ ხანაში არ არსებობს არც შეძლებული და გემოვნება გაფაქიზებული წოდება, არც მდიდარი მეცენატები რომ მფარველობა გაუწიონ მწერლობასა და მხატვრობას. მეფეებისა და არისტოკრატიის ფუნქცია ამ დარგშიც დემოკრატიულმა სახელმწიფომ უნდა იკისროს.

ცნობილია, რა გავლენას ახდენდა ყოველთვის დამკვეთელის გემოვნება და აზროვნება ესთეტიურ შემოქმედებაზე. ის რაც ათენის დემოკრატიას მოსწონდა, შეუფერებელი იყო საშუალო საუკუნეების ქრისტიანობისთვის და რაც გოტიურმა და ბიზანტიურმა სტილმა შექმნა, თანამედროვე ადამიანს აღარ აკმაყოფილებს. ჩვენც აღარ შეგვიძლია დღეს ისე ვიაზროვნოთ და ვსწეროთ, როგორც ყარამანიანისა ან ამირან-დარეჯანიანის ავტორები აზროვნებდნენ და სწერდნენ. საჭიროა ახალი იდეური შინაარსი და ფორმალური ენა, რომელიც ისე გამოჰხატავს დემოკრატიულ საქართველოს მგრძობიერობას, როგორც შოთა რუსთაველმა ან მეჩვიდმეტე საუკუნის მწერლებმა რაინდულ და ფეოდალურ საქართველოს მგრძობიარობა გამოჰხატეს.

**ახალი გზების ძიება თითქმის ყოველ დარგში ეტყობა ქართულ ხელოვნებას.** ამიტომ არის საჭირო, რომ სახელმწიფომ და პიროვნებამ ერთ-მეორეს თანამშრომლობა გაუწიონ ახალ მიზნების მიღწევაში. რასაკვირველია, თანამედროვე რესპუბლიკის პრეზიდენტს კარის მგოსნები არ სჭირია და არც შეეფერება, მაგრამ თვით დემოკრატიულ რესპუბლიკას სჭირია არქიტექტორული და მხატვრული სამკაული, რომელიც მრავალფერადობას შეიტანს ყოველდღიურ ერთსახეობაში“.

გაზეთ „ერთობაში“ კი იბეჭდება სტატია სათაურით – „კულტურა და დემოკრატია“, რომელშიც ვკითხულობთ:

„მხოლოდ თავისუფლება ვერ გახდება

მთელი დემოკრატიის ერთადერთ  
სანუკვარ საგნათ. თავისუფლება იარაღია  
სხვა სოციალურ და კულტურულ  
შენაძენთა მოსაპოვებლათ, სოციალურად  
და კულტურულად ასამაღლებლათ,  
ეკონომიურათ მოსამაგრებლათ,  
მოსადონიერებლათ.

დემოკრატიული სახელმწიფო არ უნდა  
დაერიდოს ხარჯებს იმისთვის, რომ ხალხს  
გააცნოს ჩვენი კულტურის მჩქეფარე  
ნაკადულები, და მისცეს მას ყოველი ის,  
რის მიცემაც შეუძლია აღორძინებულ  
დემოკრატიულ სახელმწიფოს.

ჩვენი ხალხი დიდი მოყვარულია  
ხელოვნების, მუსიკის, მხატვრობის.  
მიაწოდეთ მათ ეს კულტურული  
წყალობანი თავისუფალი საქართველოსი“.

პირველი ნარმატებული გამოფენის შემდეგ,  
მეორე გამოფენა 1919 წელს იმართება.  
ამჯერად, დიმიტრი ახალ, თანამედროვე  
მხატვრობის და ქანდაკების ნამუშევრების  
გამოფენას აწყობს. ეს გამოფენა იმდროინდელ  
პრესაში გამოქვეყნებული ცნობებით და  
გამოხმაურებებით უნდა აღვადგინოთ.

გაზეთ „ერთობის“ აპრილის ნომერში  
გამოქვეყნდა განცხადება, რომელიც მხატვრებს  
ნამუშევრების წარდგენისკენ მოუწოდებდა,  
ანუ დღევანდელი გაგებით, გამოფენის open call  
მოეწყო:

„აპრილის დამლევს „დიდების ტაძარში“  
ქართველ მხატვართა საზოგადოების  
მიერ გაიმართება თანამედროვე ქართულ  
მხატვრობისა და ქანდაკების გამოფენა.

საზოგადოება მოუწოდებს ყველა ქართველ  
მხატვრებს, მიიღონ მონაწილეობა  
განზრახულ გამოფენაში.

გამოფენის პირობები:

1. სურათები მიიღება 25 აპრილამდე;
2. სურათები უნდა იქნეს გამოგზავნილი  
შემდეგი მისამართით: ტფილისი,  
გოლოვინის პროსპ. სახლი N 13,  
„დიდების ტაძარი“, ქართველ მხატვართა  
საზოგადოების სახელზე. სურათები  
მიიღება ყოველ დღე, საღამოს 4-7 საათებში.  
კვირა უქმე დღეს კი დილის 11-2 საათამდე.  
ტფილისს გარეთ მცხოვრებ მხატვრებს  
შეუძლიათ სურათები გამოგზავნონ  
ფოსტით.
3. სურათი უნდა იყოს მოთავსებული  
ჩარჩოში, და საზოგადოთ უნდა ქონდეს  
გარეგნული წესიერი სახე.
4. სურათის ზურგზე უთუოდ უნდა  
იყვეს აღნიშნული მხატვრის სახელი, გვარი  
და მისამართი, სურათის სახელწოდება.

წელიწადი სურათის დახატვისა და მისი  
ფასი.

5. საზოგადოების სახელზე უნდა იქნეს  
გამოგზავნილი დაზღვეული ბარათი,  
სურათების რიცხვის, სახელწოდების,  
თითოეულ სურათის ფასის და სხვა ცნობების  
აღნიშვნით.

6. თანახმად ქართ. მხატვ. საზოგ. წესდებისა  
გაყიდულ სურათების თანხის 10 პროცენტი  
გადადის საზოგადოების სასარგებლოთ“.

ამ დროისთვის ნიკო ფიროსმანი ცოცხალი  
აღარაა, დიმიტრი კი, გამოფენისთვის, მისი  
ნამუშევრების მოსაგროვებლად ძალ-ღონეს  
არ იშურებს.

მასთან ინტერვიუში ვკითხულობთ:

„მე და გოგოლაშვილმა განვიზრახეთ ნიკოს  
სურათების შეკრება და თავის მოყრა და  
შეუდექით კიდეც განზრახვის სისრულეში  
მოყვანას საკუთარი თანხით. დავდიოდით  
სარდაფებში და დუქნებში, რომლებიც  
მოფენილი იყო მისი სურათებით.

ამასთანავე, არსენიძის ინიციატივით,  
დავით ქებაძემ შემოსწირა  
ფიროსმანაშვილის სურათების შესაკრებად  
4000 მანეთი. ამ თანხით შექნილი იქნა  
20-მდე სურათი. უნდა აღინიშნოს, რომ  
მიკიტნები არ ელეოდნენ მის სურათებს და  
ხშირად წინააღმდეგიც იყვნენ სრულიად,  
მოეყიდათ ჩვენთვის.

ამ შემთხვევაში დაუფასებელი დახმარება  
აღმოგვიჩინეს ბენია ჩხიკვიშვილმა და  
რეჟისორმა ალ. წუწუნავამ. მაგონდება  
ასეთი შემთხვევაც. ერთი მიკიტანი,  
რომელსაც ძვირფასი კოლექცია აღმოაჩნდა  
ნიკოს სურათების, წინააღმდეგი გახდა  
მოეყიდა ისინი. მხოლოდ ბენიას  
დამუქრებამ გაჭრა. დამუქრება კი  
სამიკიტნოს დახურვაში გამოიხატებოდა.  
მემიკიტნემ არ დაივიწყა ეს და როდესაც  
დუქნებს გადასახადი დაადევს, იგი  
მივიდა ბენიასთან და უთხრა: „უნდა  
ამინაწლავით ახლა ფიროსმანის  
სურათები“, ითხოვდა გადასახადისგან  
განთავისუფლებას და კიდეც მიაღწია  
მიზანს“.

გამოფენა კვირას, 1919 წლის 4 მაისს, 14  
საათზე გაიხსნა. გამოფენაზე შესვლის ფასი  
25 მანეთი იყო. პირველივე დღეს, გამოფენა  
ათასზე მეტმა ადამიანმა მოინახულა. გამოფენის  
გახსნას მთავრობის და დამფუძნებელი  
კრების, სხვადასხვა სამხატვრო და კულტურულ  
საზოგადოებათა წევრები დაესწრნენ. ასევე,  
თბილისში მყოფი მისიების წარმომადგენლები.

ეს გამოფენა ეროვნულ გალერეაში გამართული  
თანამედროვე ხელოვნების პირველი  
გამოფენაა. მასში ქართული ხელოვნების

მომავალი ვარსკვლავები მონაწილეობენ: ლადო გუდიაშვილი, იაკობ ნიკოლაძე, დავით კაკაბაძე, ნიკო ფიროსმანაშვილი და სხვანი.

გამოფენის გახსნას პრესაში კვლავ დიდი გამოხმაურება მოჰყვა. გამოფენის შესახებ წერენ: ვახტანგ კოტეტიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, ტიცვიან ტაბიძე, დავით კაკაბაძე.

გაზეთ „სახალხო საქმეში“ ვახტანგ კოტეტიშვილი აქვეყნებს რეცენზიას სახელწოდებით – „სურათთა ხეივანებში“:

„დღეს იხსნება ქართველ მხატვართა გამოფენა. ახალგაზრდა არტისტები „დიდების ტაძრისკენ“ უხმობენ ქართველ საზოგადოებას, და სურთ აჩვენონ, თუ როგორია ხელოვნების პოტენციალი საქართველოში. საინტერესოა ქართველ საზოგადოების აზრი. ამ აზრის მიხედვით შეგვეძლება გადავჭრათ საკითხი: გაიზარდა ქართული შეგნება თუ არა? ეს საკითხი კი დიდი საკითხია.

ხელოვნება – ეს ადამიანის მეობის გაფართოებაა, პიროვნების ამაღლება, კოლექტივის დონეს აცილება, პირად შემოქმედების და ნებისყოფის ცნაურებაა. ჩვენში კი კოლექტივი ნთქავს პიროვნებას, აკარგვინებს თავისებურობას, კუთხეებს უღესავს, ამრგვალებს. საზოგადოდ, ყველგან და ჩვენში უფრო, ყველაზე მეტად ის არ იდევენება, ვინც ორიგინალობას გაუბრუნებს, ვინც მორიდებით გზას აუქცევს ყოველივე ახალს, ვინც აძლევს ფორმას ყველას მიერ მიღებულ იმ აზროვნებას, რომელიც „ფართო საზოგადოებაში“ უდავოდ გადაქცეულა.

აუდიტორია ტაშს უკრავს ორატორს მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ეფექტურად იტყვის აუდიტორიის მიერ შეყვარებულ აზრს. ახალი აზრი კი მას აბრუნებს, რადგან აუდიტორიის გონება საამისოდ მოუმზადებელია, უმწიფარი.

საზოგადოებისთვის ადვილად გასაგები, მისთვის ნაჩვევი გზით სიარული შეიძლება კარგი იყოს სხვა რომელიმე დარგში (თუმცა მეექვსეა, რომ ამგვარი დარგი არსებობდეს), მაგრამ ხელოვნებაში იგი მიუღწეველია. ეს იქნება ხელოვნების ინკვიზიცია.

დიახ, საზოგადოებას, დიდი მასშტაბით აღებულს, ეშინიან სიახლისა, და ეს შიში ახასიათებს ჩვენს საზოგადოებასაც.

ეს შესავალი მიტომ დამჭირდა, რომ იმ გალერიაში, სადაც ქართველ მხატვრების ტილოთა გამოფენაა, ზოგიერთ ადგილას, „საშიშროების“ აჩრდილი ატუზულა, და მეექვსეა, რომ ქართველმა „ფართო საზოგადოებამ“, იმ სურათთა გვერდით უგრძობად გაიაროს. მხრები რომ აიჩეჩოს, კიდევ მოსათმენია, მაგრამ მე მგონია, რომ

უანგარიშო ირონიით ხელს ჩაიქნევს იქ, სადაც მეტი კრძალვა და მეტი დაკვირვება დასჭირდება. თუმცა, თავი დავანებოთ ქართველ საზოგადოებას, როგორც სურს ისე მოიქცეს. მე გაფრთხილებთ მხოლოდ“.

კოტეტიშვილი სტატიაში მხატვრების ნამუშევრებს მიმოიხილავს. აღტაცებულია ლადო გუდიაშვილის სურათებით. განსაკუთრებით გამოყოფს გუდიაშვილის და კაკაბაძის შემოქმედებას. ფიქრობს, როგორ შეაფასებს საზოგადოება მათ ნამუშევრებს, თან ამატებს – რომც ვერ შეაფასოს, ეს მათ არას დააკლებსო:

„საერთოდ, ეს გამოფენა ჩვენი ხელოვნების გამარჯვების სიმბოლოა, და ჩვენც, ჩვენ არტისტებს უსურვოთ გამარჯვება“, – ასე ასრულებს რეცენზიას ვახტანგ კოტეტიშვილი.

გაზეთ „საქართველოს“ 9 მაისის ნომერში იბეჭდება გრიგოლ რობაქიძის გამოხმაურება – „ქართველ მხატვართა სურათების გამოფენა“. სტატიაში გრიგოლ რობაქიძე მიმოიხილავს გამოფენაში მონაწილე რამდენიმე მხატვრის ნამუშევარს:

„ლადო გუდიაშვილი დასრულებული ოსტატი ჯერ არ არის. მაგრამ, მის მიერ არჩეული გზა ნამდვილია. მას მხოლოდ ერთი საფრთხე დაუდგება წინ: თავის თავის განმეორება. თუ ეს უკანასკნელი საფრთხე სძლია, შეგვეძლება ქართული ხელოვნებას მარჯვე ოსტატი მივულოცოთ.

დავით კაკაბაძე პირველად გვაცნობს თავის თავს. ის ეკუთვნის იმ რჩეულებს, რომლებიც იმედებს ყოველთვის ამართლებენ“.

რობაქიძე აკრიტიკებს მოსე თოიძის კომპოზიციას, ერეკლე თოიძეს – ჯერ კიდევ ბავშვს, მაგრამ ნამდვილ ხელოვანს უწოდებს, იაკობ ნიკოლაძის მარმარილოში უცხო სინაზეს ხედავს, ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევრებს კი საქართველოს შემოქმედებითი ძალის სიგიჟით ავარდნად მოიხსენიებს:

„გამოფენის გამმაგრებელი ნიკო ფიროსმანაშვილია“, – წერს ის.

„გამოფენაში მონაწილეობენ სხვებიც. მათი სტილი სხვაა, – და მათზე ალბათ სხვები იტყვიან. აქ უნდა მოვიხსენო მხოლოდ ერთი მხატვარი, რომელსაც არაფერი გამოუფენია, მაგრამ მთელი თავისი ძალა შესწირა გამოფენას. ეს არის დ. შევარდნაძე. მისი თავდადებული შრომა ქართული ხელოვნებისთვის საოცარია. რასაკვირველია – აქ „მადლობა“ საჭირო არაა“.

ჟურნალ „შვიდ მნათობში“ დაიბეჭდა დავით კაკაბაძის გამოხმაურება:

„ჩვენი ცხოვრების გამართლება სწორედ

ხელოვნებაშია. ხელოვნება ერთად ერთი საშუალებაა ჩვენი ცხოვრების აზრის განმტკიცებისათვის. მას ეს შეუძლია კიდევ. მხოლოდ თანამედროვე ხელოვნებამ, ხალხოსნური სახე უნდა მიიღოს, და როდესაც ხელოვნება ამ სახეს მიიღებს, მაშინ დადგება ხანა მისი მეფობისა.

დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ამ გამოფენას, რადგან აქ იყო წარმოდგენილი თითქმის მთელი ჩვენი თანამედროვე მხატვრობა. ქართველ მხატვართა საზოგადოებამ სრული თავისუფლება მისცა ყოველ მხატვარს გამოფენაზე მონაწილეობის მიღებისა, ყოველ მხატვარს უფლება ჰქონდა გამოეფინა თავისი ნაწარმოები. ეს დადებითი მხარეა გამოფენის.

ცუდ შთაბეჭდილებას ახდენდა გამოფენის გარეგნული მხარე: სურათები არ იყო დალაგებული ერთ რიგზე, მხატვრების განაწილებაში არ ყოფილა არავითარი სისტემა და გამოფენის ყოველ ნაწილს შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა, შემდეგში ეს ნაკლი აუცილებლად გასწორებული უნდა იქნეს.

**ამ გამოფენამ ჩვენ დაგვანახა, რომ არსებობს თანამედროვე ქართული მხატვრობა, რომლის მხატვრული მხარე არც ისე უნუგეშო მდგომარეობაშია, როგორც ფიქრობდნენ. შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენს მხატვრობას ეხლა ედგმის მკვიდრი საფუძველი.**

ზემო-ნათქვამიდან ჩანს, რომ არსებობს თანამედროვე მხატვრობა და ეს გამოფენა იყო პირველი მისი საჯარო გამოსვლა. **ჩვენი ახალი მხატვრობა ჯერ ძიების ხანაშია, მაგრამ ის, რაც ამ გამოფენამ მოგვცა, უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ჩვენი მხატვრობა აყვავდება, ჩვენს მხატვრობას აქვს მომავალი“.**

გაზეთ „ერთობაში“ ვკითხულობთ თ. გარტმანის რეცენზიას:

„ვსწერ ამ სტრიქონებს ქართული გამოფენის შესახებ ხელოვნების არა იმ სასტიკ დამფასებლებისათვის, რომლებიც მიდიან გამოფენაზე დიდი ცოდნით შეიარაღებულნი, რომლებიც გამოცდილნი არიან თანამედროვე მხატვრობის გამოფენებზე მრავალწლივ მისვლით და დათვალიერებით; არა იმისთვის, ვინც ფხიზელი და სასტიკი თვალით მსჯელობენ იმის შესახებ, გამოჩენილ მხატვართა ისევ ისე მაღლა უჭირავთ დროშა თავის ადრინდელი გამარჯვებებისა თუ არა, ან იძლევიან თუ არა რაიმე იმედებს ახალი მხატვრები. უფრო ნაკლებად მსურს მე ვისწავლო ან მივცე რაიმე დარიგებები მხატვრებს, რომელთაც აურჩევიათ ესა თუ ის მიმართულება, ანდა უსურვო მათ ესა თუ

ის შესწორებანი, ასე უკეთესი იქნებოდა-მეთქი. მე ვსწერ ამ სტრიქონებს იმათთვის, რომლებიც მასხის ფსიქოლოგიაში მომხდარ გარდატეხის გამო მიისწრაფიან კულტურისაკენ, რომლებიც დიდი სულიერი შიმშილის გამო მოწყურებული არიან ახალ სულიერ საზრდოს და მიდიან გამოფენაზე, რომ ნახონ მათთვის ხშირად საკვირველი სურათები, რომ ყველაფერი გაიკვირონ, ბევრი რამე ვერ გაიგონ, მაგრამ, რომ ყველაფერი მაინც, ასე თუ ისე, აითვისონ თავისი სათუთი გრძნობით და რომ რამოდენიმე ხნის შემდეგ გადაიფიქრონ და ხელახლა გამოსცადონ ის შთაბეჭდილებანი, რომლებიც მათ მიიღეს გამოფენაზე. მე ამათთვის ვსწერ.

უნდა მივესალმო იმ დახმარებას ხელოვნებისადმი, რომელიც აღმოუჩინა საქართველოს მთავრობამ, რომელმაც დიდი თანხა გადასდო არა მარტო ქართველ მხატვართა ნაწარმოებთა სასყიდლად, არამედ სხვა ეროვნების მხატვართა ნაწარმოებების შესაძენადაც. ხელოვნებისთვის დახმარება და მხარის დაჭერა ამ უდროობაში განსაკუთრებით საჭიროა და ყოველ ნაბიჯს ამ მხრივ გადადგმულს განსაკუთრებით უნდა მივესალმოთ. ამასთან ერთად, მიუმატებს სურვილს, რომ თანამედროვე მხატვრობის მუზეუმი რაც შეიძლება მალე გახსნილიყოს, რომ შეძლება მიეცეს, განსაკუთრებით დემოკრატიულ მასებს, სრულიად დაუახლოვდნენ გამოსახულ ხელოვნების ნაწარმოებთ“.

გაზეთ „საქართველოში“ იბეჭდება ტიცინ ტაბიძის მიერ თარგმნილი, მხატვარ სერგეი სუდეიკინის გამოხმაურება. რეცენზიაში სუდეიკინი განსაკუთრებით აღნიშნავს ნიკო ფიროსმანის ნამუშევრებს:

„გამოფენას ფონს უკეთებს ფიროსმანაშვილი. ფიროსმანაშვილი ქართველი ჯოტოა“, – წერს ის.

„იქ სადაც არის ასეთი ესთეტიკა და მოთხოვნილება მხატვრობისა, გასაგებია, რომ ქართველი მხატვრების გამოფენა – სტოვებს ნამდვილი ხელოვნების შთაბეჭდილებას“.

ახალი ხელოვნების პირველ გამოფენას ტიცინ ტაბიძე რამდენიმე წლის შემდეგ, 1926 წელს, ლადო გუდიაშვილის გამოფენის რეცენზიაში გაიხსენებს:

„ამბობენ, ას წელში ცა ერთხელ გაიხსნება ნატვრისთვისო და ამ ცის გაღებულ კარებს მიასწრო საქართველომ 1919 წელს, როცა გაიმართა პირველი ქართველი მხატვრების გამოფენა ყოფილ დიდების ტაძარში. იმ ტაძარში, რომელიც მანამდე მხოლოდ ჩვენი მონობის დიდების ტაძარი იყო, სადაც ეკიდა საქართველოს დახეული დროშები,

შამილის გამტყდარი ხმალი და ჰაჯი მურატის ტანზე შეხსნილი მუზარადები, რომელსაც გარს ერტყა რუსეთის ცარიზმის ზარბაზნები და იმპერატორის ალექსანდრე I-ის მაცდური მანიფესტის თუჯის სიტყვები, გაიმართა ქართული მხატვრობის გამოფენა, რომელმაც შემდეგ საფუძველი დაუდო ეროვნულ გალერეას.

ტფილისელებს არ უნდათ იმის მოგონება, რომ ამ გამოფენის რაინდები იყვნენ: ლადო გუდიაშვილი და დავით კაკაბაძე, რომელნიც შემდეგ, როგორც ლაურეატები გაიგზავნენ პარიზში.

ცნობილია, რომ მხატვრებს ყველაზე უფრო უჭირთ მხატვრებზე კარგის თქმა – მაგრამ ბევრს ემახსოვრება ცნობილი მხატვრის, სერგეი სუდეიკინის მაშინდელი წერილი ქართულ გამოფენაზე. განსაკუთრებული ენთუზიაზმით აღნიშნავდა ის ნიკო ფიროსმანის და ლადო გუდიაშვილის ტილოებს.

ჩვენი დროის ტემპი სხვა არის: ყოფილი „დიდების ტაძარი“ დღეს ეროვნული გალერეაა. დღეს საქართველოს აქვს მხატვრობის აკადემია, სადაც მთელი არმია ემზადება ახალი მხატვრებისა“.

ასეთი მრავალფეროვანი იყო გამოფენის რეცენზიები. ყველა ხაზს უსვამდა გამოფენის დიდ მნიშვნელობას ქართული ხელოვნებისთვის

და დიდ მომავალს წინასწარმეტყველებდა.

გამოფენა 4 ივნისს დაიხურა, 8 ივნისს კი დიდების ტაძარში სურათების აუქციონი გაიმართა:


„კვირას, 8 ივნისს დიდების ტაძარში გაიმართება სურათების აუქციონი. სურათების გასინჯვა დაიწყება დილის 10 საათიდან. შესვლა უფასოა“.

დიდების ტაძარში ახალი ხელოვნების მეორე, რიგით კი მესამე გამოფენა 1919 წლის დეკემბერში გაიმართა. ამ გამოფენაში საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ეროვნების მხატვარმა მიიღო მონაწილეობა.

გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნდა განცხადება, რომლითაც მხატვრებს მოუწოდებდნენ ნამუშევრები მიეტანათ ყოფილ დიდების ტაძრის შენობაში. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ გამოფენისთვის მხატვართა სურათები მიმართულებების მიხედვით დაჯგუფდებოდა. საგამოფენო სივრცე სამ: მარცხენა, ცენტრალურ და მარჯვენა ფრთებად იყო დაყოფილი და მხატვრების ნამუშევრები მიმართულებისა და სკოლის მიხედვით იყო დანაწილებული. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევრებიც.

მხატვრები გამოფენაზე შემდგენაირად იყვნენ წარმოდგენილნი:

მარცხენა ოთახი: ალექსანდრე ბაჟბუქ



ტფილისი და დიდების ტაძარი

მელიქოვი, ვლადიმერ ბობერმანი, ნატალია გონჩაროვა, ლადო გუდიაშვილი, სარგის ეგიკიანი, კირილე ზდანევიჩი, ერვანდ კოჩარიანი, ნიკო ფიროსმანაშვილი, ვერა შლენდინგერი.

შუა ოთახი: ელენე ახვლედიანი, ბორის ზანისი, ტატიანა ზანისი, ირაკლი თოიძე, მოსე თოიძე, ვასილ კროტკოვი.

მარჯვენა ოთახი: ამიაკ აკოფიანი, გიორგი ბაშინჯაგიანი, მოსე ბატ, გიორგი გაბაშვილი, სტეფანე გაბაევი, დავით გველესიანი, მეჩისლავ დელპესი, კონსტანტინე ზანისი, გრიგოლ კეპინოვი, კრიევს-მალხაზიანი, ისაკ მეზურნიანი, ასტგიკ მინასიანი, სიმონ ნალბანდიანი, ალექსი ნოსოვ-ბელიაკოვი, ვასილ ფიოდოროვი, კონსტანტინე ქავთარაძე, ვიაჩესლავ შელომოვი, გიორგი ხმალაძე, გრაციან ხმელევისკი, ივანე ხოჭაბეგოვი, გიგო ზაზიაშვილი.

ამ გამოფენის შესახებ პრესაში ბევრი რეცენზია არ გამოქვეყნებულა. 1919 წლის სახელოვნებო ქრონიკაში, ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“, მოკლე ცნობა დაიბეჭდა:

„მხატვრობის დარგში პროგრესია, ორმა გამოფენამ გვაჩვენა, რომ საქართველოს შეუძლიან იამაყოს იმისთანა მხატვრებით, როგორც არიან: ფიროსმანაშვილი, გაბაშვილი, მრეკლიშვილი, ერისთავი, მამა-შვილი თოიძეები, გუდიაშვილი, შევარდნაძე, ქიქოძე და სხვ. მოქანდაკეობა მძიმედ მიდის. აქამდე მნიშვნელობის ცენტრი ნიკოლოაძესა და ჭიაურელზეა. მეტი არ იქნება ვთქვათ, რომ საჭიროა მხატვარ-მოქანდაკეობის სასწავლებლის დაარსება“.

ამ პერიოდში სამხატვრო აკადემიის შექმნაზე მიმდინარეობს მუშაობა და ამ პროცესში, რა თქმა უნდა, დიმიტრი შევარდნაძეა ჩართული.  
„ქართველ ხელოვანთა საზოგადოებამ, დიტოს ინიციატივით, გადაწყვიტა დაეარსებინა სამხატვრო სასწავლებელი, თბილისში არსებული მოსკოვის სამხატვრო სასწავლებლის ბაზაზე. დიტომ და მე, მის ბინაზე შევადგინეთ სასწავლებლის პროგრამა. პროგრამა განხილულ იქნა სასწავლებლის კრებაზე. მას ესწრებოდა სასწავლებლის შტატი და მოწვეული პირები. პროგრამა ერთხმად იქნა მიღებული. ამან დაუდო საფუძველი თბილისის სამხატვრო აკადემიას, რომელიც 1922 წელს დაარსდა“, – იხსენებს გიორგი ერისთავი.

სანამ აკადემია შეიქმნება, დიმიტრის მიზანია მხატვრებს ევროპული ხელოვნების გაცნობის და თვალსაწიერის გაფართოების შესაძლებლობა მისცეს. როგორც ყოველთვის, დიმიტრი დასახულ მიზანს აღწევს.

1920 წელს, მხატვრები: ლადო გუდიაშვილი და დავით კაკაბაძე პარიზში მიემგზავრებიან.

1920 წელს, ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ გვხვდება ცნობა:

„მხატვრები ლ. გუდიაშვილი და დ. კაკაბაძე მთავრობის ხარჯით საზღვარ გარედ (პარიზს) გაიგზავნენ სამხატვრო უმაღლეს კურსებზე“.

ამ პერიოდში, საქართველოს მთავრობამ სტიპენდიით არაერთი ახალგაზრდა გაგზავნა საზღვარგარეთ. დიმიტრის თაოსნობით, მხატვრები, ხელოვანთა საზოგადოებამ 1919 წლის გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრების მიხედვით შეარჩია. საზღვარგარეთ სტიპენდიით გასამგზავრებლად შეარჩიეს: ლადო გუდიაშვილი, დავით კაკაბაძე, ვალერიან სიღამონ-ერისთავი, ქეთევან მაღალაშვილი, შალვა ქიქოძე, მიხეილ ჭიაურელი, გიორგი ერისთავი, ელენე ახვლედიანი, შალვა ხმალაძე, შალვა ძნელაძე.

ლადო ავალიანი აღწერს ეპიზოდს, როდესაც გუდიაშვილი საფრანგეთში წასვლის ამბავს იგებს:

„1919 წლის ოქტომბერი... კაფე „ქიმერიონი“... მუშაობა ფრესკაზე „ქიმერიონის“ ჩასასვლელში. ჩასასვლელის ერთ მხარეს კედლის მოხატვას ამთავრებს ლადო, მეორე მხარეს – სუდეიკინი. უეცრად კიბის თავში, ბაქანზე გამოჩნდა ტიციან ტაბიძე. მის ასევე უეცარ ჩამოძახებას კედლებიც იმეორებენ:

– ლადო! გადაწყდა შენ და დათიკოს პარიზს გაგზავნა.

გაოცებული გუდიაშვილი ახედავს და ტიციანისთვის თვალის მოკვრას ძლივს ასწრებს. მაცნე მოჩვენებასავით ქრება. გუდიაშვილის გულს სიხარულით ავსებს ეს მოულოდნელი ცნობა, მაგრამ აბრაზებს ტიციანის გაქცევა. ხარიხიდან უმაღო ძირს ჩამოდის, კიბეზე ფუნჯებს აწარცხებს და საჩქაროდ იხდის ფერებით მოსვრილ ხალათს...

სუდეიკინი ერთ ხანს გაოცებით უცქერის...

– ლადო, რა მოხდა, ვინ გაგაბრაზა?!

– ტიციანს თვითონ რაღაც გაუგია, შენ და დათიკოს პარიზს გაგზავნიანო, ჩამომძახა და გაიქცა... არ მაცალა, გამომეკითხა, რა და როგორ მოხდა...

– მამ მომილოცავს! – თქვა სუდეიკინმა“.

### ეროვნული სამხატვრო გალერეა

დიმიტრის მიზანდასახულობამ, საქმის ცოდნამ და სიყვარულმა ნაყოფი გამოიღო. 1920 წელს ტფილისში ეროვნული სამხატვრო გალერეა გაიხსნა. იმპერიული რუსეთის დიდების ტაძარი, სამხედრო მუზეუმი – კავკასიის დამორჩილების

სიმბოლო, დიმიტრიმ ხელოვნებისა და კულტურის კერად გადააქცია.

1920 წლის 16 აპრილს, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა კრებამ მიიღო დეკრეტი საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეის დაარსების შესახებ.

დანეშებულება განათლების სამინისტროს ექვემდებარებოდა და ფინანსურად მასზე სახელმწიფო ზრუნავდა.

გალერეის დირექტორად დიმიტრი შევარდნაძე დაინიშნა.

გალერეის უმთავრესი მიზანი მხატვრობის და ქანდაკების ნაწარმოებთა დაცვა, შესწავლა და შეგროვება იყო, უმთავრესად ქართული და საქართველოს მოსაზღვრე ხალხთა ხელოვნების, როგორც ძველის, ისე ახლის.

გალერეასთან არსებობდა წიგნთსაცავი, ბიბლიოთეკა, სადაც გროვდებოდა ლიტერატურა ხელოვნების შესახებ, ასევე, გრავიურების და რეპროდუქციების კოლექციები, სამხატვრო ჟურნალები.

**დეკრეტი**

საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეის დაარსებისა

„1. დაარსდეს ქალაქ ტფილისში ამა 1920 წლის თებერვლის 1-დან, საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეა, თანახმად ამ დეკრეტიდან დართული დებულებისა, დროებითი შტატისა და ხარჯთაღრიცხვისა.

2. პირველ მუხლში აღნიშნული საჭიროებისათვის გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან განათლების მინისტრის განკარგულებაში ამა 1920 წლის თებერვლის 1-დან ივნისის 1-მდე ორმოცდასამი ათას შვიდას ოთხმოცი (43.780) მანეთი.

3. ამ დეკრეტში აღნიშნულ შტატზე გავრცელებულ იქნეს დამფუძნებელ კრების ამა 1920 წლის თებერვლის 10-ს დეკრეტით, დაწესებული მომატება ჯამაგირისა.

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920, მარტის 30.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ექვ. თაყაიშვილი

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას.

**დებულება**

საქართველოს ეროვნული სამხატვრო

**გალერეისათვის**

„1. ქ. ტფილისში არსდება ეროვნული სამხატვრო გალერეა.

2. სამხატვრო გალერეის მიზანს შეადგენს შეგროვება და დაცვა მხატვრობისა და ქანდაკების ნაწარმოებთა, უმთავრესად ქართველისა და საქართველოს მოსაზღვრე ხალხთა ხელოვნებისა, როგორც ძველისა ისე ახლისა.

3. გალერეასთან არსებობს წიგნთსაცავი, სადაც გროვდება ხელოვნებათა შესახები თხზულებანი, აგრეთვე ნახატებისა, გრავიურებისა, რეპროდუქციების კოლექციები და სამხატვრო ჟურნალები.

4. სამხატვრო გალერეა ექვემდებარება განათლების მინისტრს.

5. სამხატვრო გალერეას განაგებს საბჭო გალერეის დირექტორის თავმჯდომარეობით გალერეის მართვა-გამგეობისა და სარგებლობისათვის განსაკუთრებული წესდების თანახმად.

6. გალერეის დირექტორს და სხვა თანამდებობის პირთ დირექტორის მიერ წარდგენით დანიშნავს განათლების მინისტრი.

7. დირექტორი გალერეის უახლოესი გამგეა, რომელსაც დაევალება:

- ა. საადმინისტრაციო და სამეურნეო-საოჯახო საქმეთა გამგებლობა და მათი მოსამსახურე პირთა შორის განაწილება;
- ბ. გარეშე დაწესებულებათა და პირებთან ურთიერთობა;
- გ. გალერეის ერთ-ერთი ნაწილის გამგებლობა თავის სპეციალობის მიხედვით.

8. გალერეის საშუალებას შეადგენს:

- ა. სახელმწიფო ხაზინიდან სახალხო სამინისტროს განკარგულებაში გადადებული განსაზღვრული თანხა და
- ბ. მუზეუმში შესასვლელი გადასახადი, შემოწირულობანი, კოლექციათა დუბლიკატების გაყიდვით აღებული შემოსავალი.

9. გალერეის სპეციალი თანხა საზოგადო წესით სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვის მიღების შემდგომ დაიხარჯება.

10. გალერეას აქვს სახელმწიფო ღერბიანი საკუთარი ბეჭედი ღერბის ირგვლივ შემდგენის წარწერით „საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეა“.

1920 წ. მარტის 30-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ექვ. თაყაიშვილი

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას.

გალერეის დასაარსებლად დიმიტრი 4 წლის განმავლობაში ამზადებდა ნიადაგს. მას სამხატვრო გალერეა ხელოვნების მუზეუმის საწყისად წარმოედგინა, ხშირად გალერეას წერილებში და ანგარიშებში მუზეუმად მოიხსენიებს.

„1920 წელს, პირველ მაისს გაიხსნა საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეა, ხელმძღვანელად დაინიშნა დიმიტრი. ეს იყო სახვითი ხელოვნების პირველი მუზეუმი, რომელიც საქართველოში დაარსდა“, – წერს შალვა ამირანაშვილი.

შენობამ დიმიტრის კოლექციის შეგროვების დანებების შესაძლებლობა მისცა. ხელოვნების მუზეუმისთვის კოლექციის შეგროვებას მხოლოდ მონდომება და განზრახვა არ ჰყოფნის. მუზეუმის კოლექციის შექმნას სჭირდება ხელოვნების ცოდნა და ზუსტი ხედვა. ხელოვნების მუზეუმი არ წარმოადგენს მხოლოდ საცავს, ან საწყობს ხელოვნების ნაწარმოებისათვის.

ხელოვნების მუზეუმმა და მასში დაცულ ნაწარმოებთა ერთობლიობამ უნდა ასახოს და წარმოადგინოს ქვეყნის წარსული და აწმყო, ისტორია და პოლიტიკა, საზოგადოების ფიქრები და განზრახვები.

ხელოვნების მუზეუმი ადგილია, სადაც ინარმოება აზრი, როგორც ქვეყნის და საზოგადოების მომავლის ჩანახატი.

დიმიტრი შევარდნაძეს სახვითი ხელოვნების კოლექციის შექმნის მკაფიო ხედვა აქვს. ის თავს უყრის თანამედროვე და ძველი ხელოვნების ნიმუშებს, დასავლურ და აღმოსავლურ ხელოვნებას, აქცენტს აკეთებს საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნების ხელოვნებაზე.

განზრახული აქვს, ქართული ხელოვნება ევროპისა და აზიის გადაკვეთის წერტილში, მეზობელი ქვეყნების ხელოვნების კონტექსტში აჩვენოს.

დიმიტრი ქმნის შესაძლებლობას, რომ ტფილისში, ძველად – სამხედრო, ახლა კი უკვე ხელოვნების დიდების ტაძარში გადაიკვეთოს აღმოსავლეთი და დასავლეთი, ძველი და ახალი, წარსული და აწმყო.

დიმიტრი გულდასმით აგროვებს ნამუშევრებს. 1919 წელს, ახალი მხატვრობის გამოფენებზე წარმოდგენილი ნამუშევრებიდან რამდენიმე შეისყიდა, თავი მოუყარა ფიროსმანის გაფანტულ

ტილოებს, ეძებს ძველი მხატვრობის ნიმუშებს მთელს საქართველოში.

გიორგი ერისთავი იხსენებს:

„ძალიან ენერგიულად მოჰკიდა ხელი ნაწარმოებების, უმთავრესად ქართული მხატვრობის ნიმუშების შეკრებას. ბევრი ქალაქი და სოფელი მოიარა და მრავალი სურათი შეაგროვა. ზოგ მათგანს საჩუქრად აძლევდნენ, ზოგს კი ყიდულობდა. ასევე შეკრიბა წიგნები და ბიბლიოთეკა მოაწყო.

კახეთში განადგურებული თავადების სახლების სხვენზე იპოვა ჰოლანდიური ფერწერა. სურათები ჩამოიტანა ბორჯომიდანაც. ამას დავუმატეთ ექვთიმე თაყაიშვილის ფოტოები. ამ დროს რუსის ჯარი დაბრუნდა სპარსეთიდან. ერთმა რუსმა გენერალმა ჩამოიტანა ირანული კოლექციები. დიტომ მთავრობას გამოართვა ფული და იყიდა. გალერეაში ჩამოაყალიბა აღმოსავლური და დასავლური განყოფილებები.

პირველივე წელიწადს გავავსეთ გალერეის ორივე ფრთა. შუაში იყო ბიბლიოთეკა. წიგნები დიტომ ევროპიდან გამოიწერა. ჰავლე თუმანიშვილისგან მე, გიორგი ნათიძემ და დიტომ შევიძინეთ გერმანიიდან ჩამოტანილი ავეჯი, რომელიც ახლა, აგერ, ბიბლიოთეკაში დგას. გიგო გაბაშვილმა გვაჩუქა ბიბლიოთეკა და საკუთარი ნაწარმოებები. ერმიტაჟმა გამოგვიგზავნა ჯაბადარის მინიატურები.

გალერეაში სულ რამდენიმე თანამშრომელი გვყავდა. დიტო გალერეაში ცხოვრობდა, თვითონ გვიდა დარბაზებს და თვითონ თლიდა სურათების ჩარჩოებს. ჩვენ ვეხმარებოდით“.

მთელი ქვეყნის მასშტაბით გაფანტული სურათების მოძიება და შესყიდვა იოლი საქმე არ არის. დიმიტრი გადაწყვეტს სამხატვრო გალერეაში მოაწყოს დიდი ექსპოზიცია, სადაც გამოფენს უკვე მოპოვებულ ნამუშევრებს. ამავდროულად, გამოფენას ახალი ნამუშევრების მოსაძიებლადაც გამოიყენებს.

ნამუშევრების შეგროვებაში დიმიტრი სხვებსაც რთავს, რათა, თუკი სადმე ღირებული ნამუშევარია, არ გამოიჩეს და არ დაიკარგოს.

მხატვარ ქეთევან მაღალაშვილს, ახლო მეგობარს, წერილში წერს:

„სამხატვრო გალერეა აწყობს ძველი მხატვრობის სურათების გამოფენას. სურათები უნდა შეგროვდეს როგორც სახელმწიფო დაწესებულებებიდან, აგრეთვე კერძო პირთაგან. ამ გამოფენის მოწყობას დიდი მუშაობა უნდა: ამ მიზნით მომიხდება პროვინციებშიც

წასვლა. მაგალითად, შემატყობინეს, რომ წინანდალში ასამდე ძველი სურათი არის ერთი თავადის ოჯახში. უნდა გავემგზავრო სანახავად და თუ საინტერესო დარჩა, ჩამოვიტანო გამოფენისთვის. ალბათ ამ კვირაში გავემგზავრები. რა ახლოს ვიქნები თქვენთან, მაგრამ რომ ვერ შევძლებ თქვენთან გადმორბენას!

ქეთო! იქნებ თიანეთშიც აქვს ვინმეს რაიმე ძველი მხატვრობის ნიმუშები, ეცადეთ წამოიღოთ გამოფენისთვის. ჩვენ ყველას გარანტიას ვაძლევთ, რომ არავის არ ჩამოერთმევა. ამის შესახებ გაზეთებშიც იქნება განცხადება...“.

მალევე, გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნებულ განცხადებაში ვკითხულობთ:

„განათლების სამინისტროს თანხმობით და მოწონებით საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეია მხატვრულ-მეცნიერულ მიზნით აწყობს ძველ მხატვრობის სურათების გამოფენას ამიტომ, გალერეის ადმინისტრაცია სთხოვს უმორჩილესად ყველას, (როგორც ტფილისში, ისე პროვინციაში) ვისაც კი რაიმე სურათი აქვს ძველი ქართული, სპასრული ან ევროპული მხატვრობისა, აგრეთვე მინიატურები და გრაფიურები, კეთილ ინებონ და წარმოადგინონ გამოფენისთვის ეროვნულ სამხატვრო გალერეის შენობაში რუსთაველის პროსპ. ნ 12. ტელ. 5-96. სურათები მიიღება 17-26 სექტემბრამდინ დილის 10-2 საათიდან და საღამოს 5-6 საათამდინ.

გალერეა გარანტიას იძლევა სურათების დაცვის და ხელშეუხებლობისთვის. თუ რომელიმე სურათი ამორჩეული, მოწონებული და შეფასებული იქნება სპეციალურ მხატვრულ კომისიის მიერ ეროვნული გალერეისთვის, შეძენილი იქნება გალერეის მიერ, მხოლოდ პატრონთან შეთანხმებით.

გალერეის ადმინისტრაცია“.

„ძველი მხატვრობის სურათების გამოფენა“ გაიხსნა. გამოფენაზე საზოგადოებას საშუალება მიეცა შეეფასებინა, თუ რა მხატვრული ნაწარმოებები მოიპოვებოდა თბილისში. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო კერძო პირთაგან წარმოდგენილი ექსპონატები, საქართველოს მუზეუმიდან გადმოტანილი სპარსული მხატვრობის ნიმუშები, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმიდან გადმოტანილი ქართული მხატვრობის ნიმუშები, ლიკანის სასახლიდან ჩამოტანილი სურათები.

დიმიტრი წერს:

„ამ გამოფენის მოწყობამ პირდაპირ მოულოდნელი შედეგი მოგვცა: გამოირკვა

რომ ტფილისში არსებობს შესანიშნავი მსოფლიო მნიშვნელობის სპარსული მხატვრობა XV საუკუნიდან დაწყებული, ვიდრე XIX საუკუნის დამდეგამდე. შესანიშნავი ქართული პორტრეტული მხატვრობა XVIII-XIX საუკუნისა, ფრიად საინტერესო მხატვრობა დასავლეთ ევროპისა, რომელთა შორის აღმოჩნდა რემბრანდტი, ლუკა კრანახი, რუისდაელი, პრიუდონი, დავით ტენიერისი და სხვა“.

კომისიამ შეარჩია სურათები და მთავრობის მიერ გაღებული თანხით გალერეამ ეს სურათები შეიძინა. ამ და გალერეის სხვა ნვრილმანი ხარჯებისთვის მთავრობამ გამოყო – 4 683 388 მანეთი, ანუ 5 204 გირვანქა სტერლინგი, რაც დღეს, დაახლოებით, 1 000 000 ლარია.

1921 წლის 25 თებერვალს თბილისში წითელი არმია შემოვიდა.

სერგო ორჭონიკიძემ დეპეშით აცნობა სტალინს:

„თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა, გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“

საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა. მეფის რუსეთის მარნუხებიდან განთავისუფლებული ქვეყანა ახალ და არსობრივად სრულიად განსხვავებულ იმპერიას დაექვემდებარა. თუკი რუსეთის იმპერიის რეჟიმი ქართველი თავადების და არისტოკრატების ხელით ატარებდა იმპერიალისტურ პოლიტიკას, 1921 წელს, ბოლშევიკებმა პროლეტარიატის ხელით და სამხედრო ჩექმით დაამყარეს ძალაუფლება.

ძველი მხატვრობის სურათების გამოფენა ჯერ კიდევ არ იყო დახურული, როდესაც საქართველოს გასაბჭოება მოხდა. ამ დროისთვის გალერეას უკვე ჰქონდა სურათების ფონდი, რომელიც კერძო პირთაგან შეძენილი და საქართველოს მუზეუმიდან გადმოტანილი სურათებისგან შედგებოდა.

1921 წლისთვის, სურათების საერთო რიცხვი ორასს აღწევდა. ამ დროისთვის, 17 სურათი ევროპული მხატვრობიდან, საქართველოს სხვა განძთან ერთად, ტფილისის ევაკუაციისას ევროპაში გაიტანეს.

გალერეის კოლექციაში დაცული იყო 1919 წლის გამოფენაზე, მთავრობის დაფინანსებით შეძენილი ნახატებიც – თანამედროვე მხატვრობა.

გასაბჭოების პირველ ხანებში, ანუ გარდამავალ პერიოდში, გალერეას ბევრი ხიფათი გადახდენია. გალერეა საბოლოოდ მოწყობილი არ იყო, ამიტომ, სხვადასხვა დაწესებულებებს და სამხედრო უწყებებს შენობაზე ჰქონდათ პრეტენზია, თუმცა, დიმიტრიმ ყველა მოიგერია.

გალერეის საქმიანობის პირველ წლებში,

დიმიტრი შევარდნაძის ყურადღება, ძირითადად, გალერეის კოლექციის ექსპონატებით გამდიდრებას ეთმობოდა.

გასაბჭოების შემდგომ, გალერეის, საქართველოს მუზეუმის და საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდები ჩამორთმეული ქონებითაც შეივსო. საწყობებში განაწილებული ჩამორთმეული ქონება, გალერეის შუამდგომლობით, უფასოდ გადაეცა გალერეის და სხვა მუზეუმების ფონდებს. შერჩეული სამუზეუმო ქონება საწყობებიდან ჯერ ეროვნულ გალერეაში იყრიდა თავს, შემდეგ კი სხვა მუზეუმებში და უნივერსიტეტში ნაწილდებოდა. მათ შორის: ძველი იარაღი, სამკაული, წიგნები, ფაიფური, ავეჯი, ბიბლიოთეკა.

იმ დროს, გარდამავალ პერიოდში, ცხოვრების ისეთი მძიმე პირობები შეიქმნა, რომ ბაზარზე ბევრი სამუზეუმო ქონება გამოჩნდა. ნივთები ძალიან იაფად იყიდებოდა. გალერეა ცდილობდა, რომ ეს ქონება კერძო პირთა ხელში არ ჩავარდნილიყო და დაფანტულიყო, ამიტომაც, ყიდულობდა ყველაფერს, რისი საშუალებაც ჰქონდა. ამ პერიოდში გალერეამ არაერთი სურათი და გამოცემა შეიძინა.

გალერეის ხარჯებს განათლების სახალხო კომისარიატი ფარავდა. გალერეას ჰქონდა საკუთარი მცირე შემოსავალიც – ბილეთის გადასახადიდან, გაყიდული დუბლიკატებიდან.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, ქართული კულტურის წარმომადგენლების დიდი ნაწილი ჩვეულებრივ აგრძელებდა მოღვაწეობას, საბჭოთა ხელისუფლება კი მეტ-ნაკლებად ეხმარებოდა მათ. ხელოვანთა მრავალი წარმომადგენელი ახალ პოლიტიკურ წესრიგს კეთილგანწყობითაც კი შეხვდა.

ბოლშევიკებს კულტურის საკუთარი პროგრამა ჰქონდათ – ახალი ხელოვნებისა და კულტურის შექმნა. კულტურული რევოლუცია უნდა მომხდარიყო ყველგან, ქალაქშიც და სოფლადაც. რევოლუციის უმთავრესი მიზანი ადამიანის ახალ – საბჭოთა ადამიანად გარდაქმნა იყო. ამ იდეის განსახორციელებლად ხელოვნება და კულტურა მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენდა. თუკი ადრე, მეფის რუსეთში, ხელოვნება მეფის კარის, არისტოკრატიისა და ბურჟუაზიის გემოვნებას ემსახურებოდა, ახლა ხალხის სამსახურში უნდა ჩამდგარიყო. ლენინის სიტყვებით, თუ ადრე ხელოვნების დამკვეთი არისტოკრატია იყო, ახლა დამკვეთი ხდებოდა საბჭოთა სახელმწიფო, შესაბამისად – ხალხი. ხელოვნების ფესვებს მშრომელი მასების სიღრმეში უნდა ჩაეღწია. ხელოვნება ხალხისთვის გასაგები და საყვარელი, შთამაგონებელი და ზეაღმტაცი უნდა ყოფილიყო.

ახალ რეალობაში დიმიტრი შევარდნაძე თავის საქმეს აგრძელებს. მის საქმიანობაში ისედაც იგულისხმებოდა ხელოვნების ხალხში გავრცელება. საჯარო ინსტიტუციის

შექმნა, საგანმანათლებლო და საგამოფენო მიმართულებები სწორედ ამას გულისხმობს. თუმცა, ანგარიშებიდან და წერილებიდან აშკარაა, რომ მას დიდად არ აღელვებს ახალი კულტურული პროგრამა და თავს არიდებს იდეოლოგიურ პროპაგანდას. ის თავის არჩეულ გზას მიჰყვება, მისი პროგრამა ძველ და ახალ ქართულ ხელოვნებაზე ზრუნვაა.

ამასობაში, საზოგადოებაში ხელოვნების მიმართ ინტერესი იზრდება. ეს უთუოდ სამხატვრო გალერეის მოწყობის და იქ გამართული გამოფენების დამსახურებაა.

„ქართველ საზოგადოებაში არათუ გაიზარდა ინტერესი ხელოვნებისადმი, არამედ ის ახლა მხოლოდ ხელოვნებას ისმენს, მას ეყრდნობა და მისი იმედი აქვს...“, – წერს პაოლო იაშვილი 1922 წელს;

„მხატვრობა ხომ ახლა ხდება იმედია და თავის ისტორიას იწყებს უსათუოდ შესამჩნევი ნიჭით და შეგნებით. ამის მაგალითი ევროპაში გაგ ზავნილი ლაურიატებია და თბილისის ახალგაზრდა მხატვრები, რომელნიც პირობების მიხედვით, პირდაპირ სასწაულს ახდენენ“.

ანგარიშებიდან ჩანს, რომ საბჭოთა ხელისუფლება და სახალხო კომისარიატი არ არის ისეთი ხელგაშლილი, როგორც სოციალ-დემოკრატების მთავრობა იყო. დიმიტრის მუდმივად უწევს ხაზგასმა, რომ საჭიროა მეტი დაფინანსება, რათა გალერეამ დასახული მიზნების მიღწევა შეძლოს.

1923 წელს, მეფის რუსეთის დროს ქვეყნიდან გატანილი ხელოვნების ნიმუშები საქართველოში დაბრუნდა. დაბრუნების კომისიაში დიმიტრი შევარდნაძეც იყო. გალერეის კოლექცია იზრდებოდა შემოწირულობებითაც. მცირედი თანხით დიმიტრი ნამუშევრების შესყიდვას ცდილობდა – პერიოდული გამოფენებიდან თანამედროვე მხატვრების ნამუშევრებს ყიდულობდა.

„...თანამედროვე ხელოვნების განყოფილებას გალერეაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა, ამისათვის ცალკე თანხა უნდა გამოინახოს, რომ ყოველწლიურად შეძენილ იქნას ღირსეული სურათები ჩვენს გამოფენაზედ“, – წერს ის.

1924 წელს, „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ კრებაზე, დიმიტრი შევარდნაძე ვენეციაში საერთაშორისო მხატვრების სურათების გამოფენის მოწყობისა და მათზე ქართველ მხატვართა მონაწილეობის მიღების საკითხს აყენებს. ვენეციაში ქართველი მხატვრების გაგზავნის თაობაზე საზოგადოება მთავრობის თავმჯდომარესთან – შალვა ელიავასთან აგზავნის დელეგაციას. დელეგაციის წევრები არიან: ვ. კოტეტიშვილი, დ. შევარდნაძე, ვ. სიღამონ-ერისთავი, ი. ნიკოლაძე და ვ.

გაბაშვილი.

განათლების სახალხო კომისარს უგზავნიან განცხადებას ვენეციაში გამართულ მხატვართა საერთაშორისო გამოფენაზე, ექსკურსიის სახით, ერთი თვით, 40 ახალგაზრდა მხატვრის გაგზავნის შესახებ. საბჭოთა ხელისუფლებას ვენეციის ბიენალე არ აინტერესებს და საკითხი უპასუხოდ იხურება.

როგორი იყო გალერეა 100 წლის წინ და რა ნამუშევრები იფინება იმხანად? 1924 წელს, ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნებულ ირაკლი თოფაძის წერილში – „ეროვნული სამხატვრო გალერეა“, გალერეის მარჯვენა დარბაზში ექსპონირებული თანამედროვე მხატვრობაა აღწერილი.

„თანამედროვე მხატვრობიდან აქ წარმოდგენილია:

მხატვარი გიგო გაბაშვილის 5 სურათი: ორი „სამარყანდი“, ორი „ხევსური“ და ერთიც „წვიმიანი დღე“; ალ. მრეველიშვილის მცხეთის რამდენიმე სურათი; შალვა ქიქოძის მიერ შესრულებული აკაკი წერეთლის პორტრეტი; ვალერიან სიდამონ-ერისთავის ერთი პატარა ეტიუდი და მეორე დიდი სურათი „თამარ მეფე“; მოსე თოიძის სამი სურათი: „მთვარიანი ღამე“, „სასიძო“, „ქეიფი მცხეთაში“; დავით კაკაბაძის ოთხი სურათი: „ჩემი დედა“, „ავტოპორტრეტი“, „ნატურმორტი“ და „იმერეთი“; ლადო



დimitრი შვარდნაძე სახელოსნოში

გუდიაშვილის ხუთი სურათი: „შოთა რუსთაველი“, „პირიმზისა“, „დღეობა“, „კინტოების ქეიფი“ და ერთი პატარა ესკიზი; რომანოზ გველესიანის ორი ეტიუდი; ალ. ბერიძის ქალის პორტრეტი; ქეთო მაღალაშვილის მიერ დახატული იაკობ ნიკოლაძის პორტრეტი; ვ. სუდეიკინის „კარნავალი“; სორინის „პეიზაჟი“; კირილე ზდანევიჩის სამი სურათი: „მოცეკვავე ქალი“ და ორი ნატურმორტი; ზალცმანის „მანდილოვანი შალითი“; ხალილ-ბეგ მუსაევის ქალის სურათი; სარიანის „ქუჩა“; ბ. ფოგელის „ბათომი“, „ვენეცია“ და „ნალიები“; ხაჩატურიანის „სომხის ქალები“; ტადეოსიანის „სომხის ბაზარი“; იაკობ ნიკოლაძის ქანდაკება „ქარი“.

გალერეის მცირე დაფინანსების მიუხედავად, დიმიტრიმ გალერეის კოლექციის სისტემატიზება, დალაგება და ნაწილობრივ გამოფენა შეძლო.

უკვე 1926 წლისთვის, გალერეას ჰქონდა 240 სურათი და 300 მინიატიურა. სურათები, უმეტესად, დარბაზებში იყო გამოფენილი.

გალერეის დარბაზი, ადგილის მოსაგებად, 7 ნაწილად იყო დაყოფილი.

შენობის შუა ნაწილში მოთავსებული იყო ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკა მუზეუმს ორ ფრთად ყოფდა. მარჯვენა მხარეს გამოფენილი იყო აღმოსავლეთის ხელოვნების ექსპონატები და თანამედროვე მხატვრობა, როგორც ქართული, ასევე უცხოელი მხატვრების ნამუშევრები.

„აქ არის მშვენივრად წარმოდგენილი ძველი სპარსული მხატვრობა, რომელსაც მსოფლიო მნიშვნელობა აქვს, არსად, არც ერთ ევროპულ და რუსეთის მუზეუმებში, არ მოიპოვება ამდენი და ასეთი მხატვრული მნიშვნელობის ნიმუშები, როგორც ეს ჩვენს მუზეუმშია წარმოდგენილი“, – წერს დიმიტრი ერთ-ერთ ანგარიშში.

სპარსული მხატვრობის გარდა, ამ განყოფილებაში „ძვირფასი ჩინური სურათი და ათამდე ინდური მინიატიურა“ იყო მოთავსებული.

ქართული განყოფილება, ძირითადად, XVIII-XIX საუკუნის პორტრეტული მხატვრობით იყო წარმოდგენილი. დიმიტრის ჩაფიქრებული აქვს, რომ ქართული განყოფილება, საეკლესიო მხატვრობით, უფრო ძველი პერიოდიდანაც იყოს წარმოდგენილი.

გალერეის მარცხენა მხარეს რუსეთის ძველი მხატვრობა და ჰოლანდიური, ფრანგული და იტალიური ხელოვნებაა გამოფენილი. ყველა სურათს შესაფერისი წარწერა ჰქონია ქართულად და რუსულად. შევარდნაძე აღნიშნავს, რომ სურათების მეცნიერულად შესწავლის შემდეგ, ბევრ სურათს წარწერის შესწორება დასჭირდება.

1926 წლისთვის გალერეის ბიბლიოთეკა 4000

გამოცემას შეადგენდა. ბიბლიოთეკით ყველა მსურველს შეეძლო სარგებლობა.

შევარდნაძე წუხს, რომ გალერეას არ აქვს ფოტოგრაფიული და სარესტავრაციო კაბინეტი, სადაც მხატვრობის ძველი ნიმუშების გადაღება, აღდგენა და რესტავრაცია იქნებოდა შესაძლებელი.

უსახსრობის გამო გალერეას არც კატალოგი აქვს. დიმიტრის სამენოვანი კატალოგის გამოცემა ჰქონდა განზრახული, რომელშიც სურათების რეპროდუქციები მეცნიერული აღწერით იქნებოდა შეტანილი. სამენოვანი კატალოგის საშუალებით გალერეა ევროპულ და რუსულ მუზეუმებთან კავშირის გაბმას შეძლებდა.

20-იანი წლების პირველ ნახევარში, გალერეის დამთვალეიერებელთა რიცხვი, დაახლოებით, 30 000 ვიზიტორია წელიწადში. ფართო საზოგადოებას საშუალება აქვს შეღავათიან ფასად (10 კაპიკი პროფკავშირთა წევრთათვის და 20 კაპიკი კერძო პირთათვის) დაათვალიეროს გამოფენები. ზაფხულში სტუმრების რაოდენობა მატულობს. ტურისტებს გალერეა უფასოდ უშვებს. გალერეაში გიდის მოვალეობას დიმიტრი შევარდნაძე ასრულებს.

უკვე ამ დროიდან, დიმიტრი მუზეუმის გაფართოებაზე იწყებს ფიქრს. შევარდნაძე მიიჩნევს, რომ გალერეაში თავი უნდა მოიყაროს სახვითი ხელოვნების ყველა ნიმუშმა:

ქართულმა საეკლესიო მხატვრობის ფრესკებმა, ხატებმა, მინანქარმა; დაზგურმა ფერწერამ და ქანდაკებამ; სპარსული, ინდური, ჩინური ხელოვნების ნიმუშებმა; ევროპული ძველი მხატვრობის ნაწარმოებებმა:

*„ეს აუცილებლად საჭიროა, რადგან ბოლო გამოკვლევებით ირკვევა დიდი ურთიერთობა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ხელოვნებათა“.*

თანამედროვე ხელოვნების გალერეა ცალკე უნდა მოეწყოს, ბიბლიოთეკა უნდა გაფართოვდეს:

*„თუ ზემო აღნიშნულ ზომებს ცხოვრებაში გავატარებთ, ჩვენ გვექნება სამხატვრო გალერეა მსოფლიო მნიშვნელობისა“.*

სამხატვრო საკითხების გადაჭრაში სამხატვრო საბჭო მონაწილეობს, რომელიც როგორც ქართველი, ისე ცნობილი უცხოელი მხატვრებისგან შედგება. ადმინისტრაციულ გამგებლობას დირექტორი ეწევა.

დიმიტრის არც შავი საქმის კეთება ეთაკილებოდა. ეხერხებოდა და იცოდა ფოტოსაქმე, რესტავრაცია, ჩარჩოების დამზადება.

სამხატვრო გალერეას თავის ხელით ალაგებდა. ერთხელ, სრულიად უბრალოდ ჩაცმული,



თბილისი, მეტეხის ციხე

# გარდავქმნათ მეტეხის ციხე ხელოვნების მუზეუმად

გარდავქმნათ მეტეხის ციხე, "პროლეტარული ხელოვნება", 1932

გალერეის დარბაზს გვიდა. შემოვიდა ვიღაც რუსი მხატვარი და დირექტორი იკითხა. დიტო გაუძღვა თავის პატარა კაბინეტისკენ (შესასვლელში, მარჯვნივ) დაჯდა მაგიდასთან და გააცნო თავი, როგორც დირექტორმა.

დიმიტრი ერთ-ერთ ანგარიშში წერს, რომ საჭიროა თანამშრომლების დამატება, რათა ყველა დარბაზს ჰყავდეს მეთვალყურე. თუ გალერეაში ბევრი ხალხია, თანამშრომლებს უნევთ საქმის მიტოვება და დარბაზებისთვის ყურადღების მიქცევა. განსაკუთრებით ბაფხულობით, ხშირია ხულიგნობის შემთხვევები – დამთვალიერებლები ნამუშევრებზე ქიმიური ფანქრით წარწერებს ტოვებენ. გალერეას არ ჰყავს დაცვა:

„არ ვიცი რას მივაწერო, ჩვენი ხალხის კულტურულობას თუ, პირიქით ხელოვნების ნიმუშებისადმი გულგრილობას, მაგრამ 10 წლის მანძილზე ქურდობის მხოლოდ 2 შემთხვევა გვქონდა.

ერთხელ ფოტო მოიპარეს, ერთხელ კი სპარსული მინიატურა“.

გალერეას არც ღამის დარაჯი ჰყავს, ამიტომ ხშირად იქ დარჩენა თანამშრომლებს, ან თავად დიმიტრის უნევს.

ქართველ მხატვართა საზოგადოება, მართალია მუშაობას არ წყვეტს, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, კარგავს თავის პირველად მნიშვნელობას:

„ახლა, ახალი ორგანიზაციის, საქართველოს რევოლუციონერი მხატვრების ასოციაციის შექმნის გამო, ძველი საზოგადოება წყვეტს მუშაობას, ახლა „სარმას“ ჯერია“.

ანგარიშებში დიმიტრი წერს:

„სოციალისტური შეჯიბრება ჩვენ არავისთან არ გამოგვიცხადებია. თუ რა გაკეთდება სამუშეუმო ხაზით

დღეს 1 საათზე, ყოფილ მეტეხის საკურობილეს ეზოში  
 უ ე ს დ გ ე ბ ა,

## მეტეხის ციხის მთელი ნაგებობის სახალხო განათლების კომისარიატისადმი საზეიმო გადაცემა

### მასში ხელოვნების მუზეუმის მოსაწოდებად

ზეიმზე მოწვეული არიან: საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის, „26“ კომუნარის სახ. პარტიის და კომკავშირის რაიონული კომიტეტების, რაი-საბჭოს, სახელმწიფო უნივერსიტეტის, თეატრების, კინოს, სამეცნიერო აკადემიის, სამხატვრო აკადემიის, მხატვართა კავშირის, მწერალთა კავშირის, კოხსერვატორიის, ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების, პოლიტკატორღელთა საზოგადოების, ხელოვნების მუშაკთა კავშირის, განათლების მუშაკთა კავშირის, ძუზუემების, წითელი არმიის, მსხვილ წარმოებების ძუშათა, ტფილიის საბჭოს მეცნიერულ მუშაკთა სექციის, პრესის და სახელგამის წარმომა აგენლები.

განათლების სახალხო კომისარი—**ე. ბეღია.**

ზეიმო გახსნის ანონსი, გაზეთი "კომუნისტი", 1933

სოციალისტურ მშენებლობასთან დაკავშირებით, ცხადია ზემოთმოყვანილ ანგარიშიდან, – ასე არიან დიმიტრი თავს იდეოლოგიურ შეჯიბრში ეროვნული გალერეის ჩართვას.

როგორც ანგარიშებიდან ჩანს, დიმიტრის მიერ დაგეგმილ საქმიანობას ხშირად უსახსრობის გამო ეშლება ხელი. ის მცირე თანხა, რაც გალერეას აქვს, კოლექციების გამდიდრებას ხმარდება:

*„ამის გამო, ჩვენი გაკიცხვა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რადგან სჯობს გვექონდეს სამუზეუმო კოლექციები, ვიდრე ცარიელი დანადგარები“.*

უსახსრობის გამო გალერეას უჭირს თანამედროვე მხატვრების ნამუშევრების შექენაც, რაზეც დიმიტრი ძალიან წუხს:

*„მხატვრებს მინიმალური შემოსავლის გარეშე ვტოვებთ და თან ვცოდავთ ჩვენი ხელოვნების ისტორიის განვითარების წინაშე. მატერიალური მხარდაჭერის და წახალისების გარეშე, ის ვერ განვითარდება“, – წერს დიმიტრი და ამატებს, რომ პერიოდული გამოფენებიდან ნამუშევრების შექენაა საჭირო:*

*„კოლექციების ზრდა უსახსრობის გამოთ ძალიან დუნეთ მიდის. ამ ათის წლის განმავლობაში, გალერეაში, გარდა მუზეუმებიდან გამოყოფილ მხატვრულ ქონებისა, კერძო პირთაგან შექენილი ქონება დიდ რიცხვს არ წარმოადგენს, თუმცა ღირსებით თვალსაჩინოა“.*

ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობის მოვლა და მასზე ზრუნვა დიმიტრი შევარდნაძის ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმე იყო. 20-იან წლებში, გალერეამ ფიროსმანის 105 სურათი მოაგროვა. ზოგი იყიდა, ზოგი უფასოდ გადასცეს. 1930 წელს, ფიროსმანის 70 ნამუშევარი შეიძინა განათლების სახალხო კომისარიატის დაფინანსებით.

გალერეის დავალებით გიორგი ლეონიძემ ფიროსმანიშვილის ბიოგრაფიული მასალები შეაგროვა, ხელნაწერი კი გალერეამ იყიდა.

1927 წლის 25 თებერვალს, ქართველ ხელოვანთა საზოგადოების ინიციატივით, ნიკო ფიროსმანის ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა. გამოფენილი იყო 90-მდე ნამუშევარი.

ფიროსმანის შემოქმედების მიმართ საზოგადოებაში ინტერესი იზრდებოდა. მომდევნო წლებში ფიროსმანიშვილის უფრო მასშტაბური გამოფენის მოწყობა დაიგეგმა.

1930 წელს, მოსკოვში, ფიროსმანის ნამუშევრებს დიმიტრი კირილე ზდანევიჩისგან ყიდულობს, ჯამში 39 სურათს:  
*„თავადების ქეიფი მინდვრად“, „უშვილო*

*მილიონერი და შვილებიანი ღარიბი ქალი“, „ცხენის ქურდი“, „ორთაჭალის ტურფა“, „ეკიმი ვირზედ მჭდომარე“, „ძროხის მწველელი ქალი“, „მზარეული“, „ორთაჭალის ტურფა მარაოთი“, „მეზოვე“, „მოხუცი გლეხი პატარა ბიჭით“, „შეშის გამყიდველი ბიჭი“, „შეთე“, „აქტრისა მარგარიტა“, „ირემი“, „ჟირაფი“, „ირემი“, „პატარა შველი“, „ქალი ყურძნით და ბიჭით“, „ნატურმორტი“, „სააღდგომო ბატკანი სასაფლაოზე“, „მგელი“, „სააღდგომო ბატკანი“, „დედალი და სველი წყალზედ“, „ყორი“, „დათვი მთვარიან ღამეში“, „მეარღნე“, „ქალი ლუდით“, „დედაკაცი ვედროებით“, „ყაჩაღები მიდიან თავდასასხმელად“, „შამილი“, „გოგო ნითელი ბურთით“, „ძიძა“, „თეთრი დათვი ბელებით“, „ლორი გოჭებით“, „არწივი კურდღლით“, „მჭდომარე ლომი“, „შველი პეიზაჟით“, „მანდილოსანი ქოლგით“.*

1930 წელს, ეროვნულმა გალერეამ, გერმანიიდან, საზოგადოება Neue Kunst Fides-დან, ფიროსმანის გამოფენის მოწყობის წინადადება მიიღო. გამოფენა გერმანიის სხვადასხვა ქალაქში უნდა ჩატარებულიყო. განათლების კომისარიატის ნებართვით, დიმიტრი წინადადებას დათანხმდა. გერმანიამდე, გამოფენა ჯერ თბილისში, შემდეგ კი მოსკოვში გაიმართა. გამოფენასთან ერთად მოსკოვში გაემგზავრა დიმიტრი შევარდნაძეც. დეკემბერში, „ვალუტასთან დაკავშირებულ მოსაზრებათა გამო“, დიმიტრის გერმანიაში წასვლაზე უარს ეუბნებიან. გამოფენის გერმანიაში გატანა ჩაიშალა. გამოფენამ მოგზაურობა გააგრძელა საბჭოთა კავშირში – ჯერ ხარკოვში, შემდეგ კიევში, ბოლოს კი ოდესაში. გამოფენამ ყველა ქალაქში წარმატებით ჩაიარა. „უსპეხი ძალიან დიდიო“, – წერილებში წერს დიმიტრი შევარდნაძე. პრესაში დაიბეჭდა გამომხაურებები, ტარდებოდა საჯარო დისკუსიები. საზოგადოება გამოფენით აღფრთოვანებული იყო. წარმატების მიუხედავად, დიმიტრის თბილისში დაბრუნება ერქარება, რათა გალერეის საქმეებს დაუბრუნდეს და მეტეხის მუზეუმის საკითხზე განაგრძოს მუშაობა.

*„მე სახლში დაბრუნება ძალიან მეჩქარება“, – წერს დიმიტრი ქეთევან მაღალაშვილს, „უნდა მოვაგვარო მუზეუმის საქმე“.*

**ქართული ლუჯრი – მეტეხის მუზეუმი**

*„საქმით გატაცებულს საკუთარი თავი ავიწყდებოდა“, – იხსენებს გიორგი ერისთავი.*

1924 წლისთვის დიმიტრი წერს, რომ დროის უქონლობის გამო მხატვრობას თავი დაანება. მხატვრობას – საკურატორო და სამუზეუმო საქმე არჩია. ხელოვნების მუზეუმის შექმნა იქცა მისი ცხოვრების მთავარ მიზნად.

1929 წელს, გალერეის ხუთწლიან გეგმაში, დიმიტრი შევარდნაძე წერს, რომ სამხატვრო გალერეის შენობა ველარ იტევს მუზეუმის



მეტეხის ჯურღმულები სოციალისტურ კულტურის კერად, "სალიტერატურო გაზეთი", 1933

კოლექციებს. თან, ამ პერიოდში, გალერეის დანგრევას და ბაღის გაფართოებას აპირებენ.

დგება დრო, რომ წლების წინ ჩაფიქრებული გეგმა განხორციელდეს.

მუზეუმისთვის საუკეთესო ბინად დიმიტრი მეტეხის ციხეს მიიჩნევს, რადგან მთავარი კორპუსის შენობის – მუზეუმად გადაკეთება მარტივადაა შესაძლებელი.

**„დროა ეს ისტორიული შენობა – ძველი თბილისის ღირსშესანიშნაობა „ქართულ ლუვრად“ იქცეს“, –** წერს დიმიტრი.

საბჭოთა ხელისუფლების დარწმუნება იოლი არ არის. დიმიტრის ყოველწლიურ ანგარიშში უნევს გამეორება, რომ კოლექციები გალერეის შენობაში აღარ ეტევა და ახალი შენობაა საჭირო.

1930 წლის ანგარიშში ნახსენებია, რომ გალერეა პოპულარულია ფართო მასებში და მოსწავლე ახალგაზრდობაში. გალერეას სტუმრობენ მუშები, მოსწავლეები და წითელარმიელები, როგორც ადგილობრივები, ისე მთელი საბჭოთა კავშირიდან.

**„ჩვენ ვერ ვაწარმოებთ სამეცნიერო მუშაობას. ჩვენი უბედურება იმაშია, რომ ჯერ არც ერთხელ არ მიგვიღია ფული ჩვენი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით და ამიტომ გეგმა ყოველთვის შეუსრულებელი რჩება. მიუხედავად ამის, ათი წლის განმავლობაში მუზეუმი გაიზარდა. მისი კულტურული როლი უზარმაზარია. მას მასები ნახულობენ, ჩვენი ბიბლიოთეკა ემსახურება თბილისის ყველა მხატვარს, სამხატვრო აკადემიას და გარეშე პირებს. იმედი გვაქვს, რომ გვექნება ახალი შენობა და მაშინ ეს მუზეუმი იქნება არამარტო თბილისის ღირსშესანიშნაობა, არამედ მსოფლიო აღიარებას მოიპოვებს“.**

დრო იცვლება. თუკი 20-იან წლებში, საბჭოთა ხელისუფლება ხელოვანთა მიმართ შედარებით ლმობიერი იყო, 30-იან წლებიდან მარნუხები ვიწროვდება. თუ მანამდე მხატვარს შეეძლო სოციალისტური თემატიკისთვის თავი აერიდებინა, 30-იანი წლებიდან სოციალისტური რეალიზმი ხელოვნების ერთადერთი ჩარჩო ხდება.

1932 წელს, დიმიტრი შევარდნაძე ვრცელი წერილით მიმართავს განათლების კომისარიატს:

*„საქართველოს მოეპოვება უძვირფასესი, მსოფლიო მნიშვნელობის მხატვრული ნაწარმოებები, დაწყებული უძველეს დროიდან დღევანდლამდე, მაგრამ ყველაფერი ეს არ სჩანს რადგან, ბევრი რამ, ბინის სივიწროვის და მოუწყობლობის გამო გამოფენილი არ არის. ფართო მასების ინტერესი ხელოვნების მუზეუმისადმი ისე გაიზარდა, რომ არსებული მუზეუმი, გაუშლელი და მოუწყობელი, ვეღარ აკმაყოფილებს. ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხს, ბოლოს და ბოლოს, უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება და ტფილისში უნდა დაარსდეს მთლიანი ხელოვნების მუზეუმი, სადაც უნდა მოხდეს კონცენტრაცია სახვითი ხელოვნების ყველა კოლექციებისა. აქ უნდა შევიდეს: სურათები, ქანდაკებები, ფრესკები, ხატები, მხატვრული ნაჭედობა, მინანქარი, მინიატურა, ფაიფური, ბრინჯაო, გრაფიკა, მხატვრული ავეჯი, გლეხობის ხელოვნება და სხვ.“*

*მუზეუმისთვის საჭიროა: საგამოფენო დარბაზები განყოფილების მიხედვით, დამატებითი დარბაზ-საცავები, დარბაზები პერიოდული გამოფენებისთვის, დარბაზი სამხატვრო ბიბლიოთეკისთვის, სალექციო დარბაზები, ლაბორატორიები და კაბინეტები, ოთახები სადღურგლო და საზეინკლო სახელოსნოებისთვის, სადარაჯო ბინები.*

*სათანადოდ გადაკეთებით, მეტეხის ციხე, მშვენიერად იქმნება გამოყენებული მუზეუმის საჭიროებისთვის. ამასთანავე, თუ რა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ექნება მეტეხის საპრობილეს მუზეუმად გადაქცევას, ამის შესახებ არას ვამბობ, რადგან ეს ყველასთვის ცხადია“.*

მეტეხის ციხის შენობა რამდენიმე კორპუსისგან შედგებოდა და ეკლესიის დასავლეთით იდგა. მეტეხს ციხე-გალავანი ოდითგანვე ჰქონია. ძველად ციხე მეფის სასახლე ყოფილა, რომელიც შემოსევების დროს განადგურდა. XIX საუკუნეში, ერმოლოვის დროს, ძველი ციხის ნანგრევების ნაცვლად ახალი ციხე აუშენებიათ – მეტეხის საპრობილე. მეფის რუსეთის დროს, მეტეხის ციხეში არაერთი ცნობილი რევოლუციონერი იჯდა, მათ შორის: გორკი, სტალინი, კალინინი, კამო. ციხე ფუნქციონირებდა დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდშიც და საბჭოთა საქართველოშიც.



ყოფ. მეტეხის ციხის საერთო ხურათი

ყოფილი მეტეხის ციხის ჩანახატი, გაზეთი „კომუნისტი“, 1933

ვახტანგ ბერიძის მოგონებებში ვკითხულობთ:

„მეტეხის ძირში, იქ, სადაც მტკვრის ნაპირები ყველაზე მეტად უახლოვდება ერთმანეთს, ორი ვიწრო ხიდი იყო ერთიმეორის გვერდით. ერთ-ერთი მათგანის ყურეში, მარჯვენა ნაპირზე, შაჰ-ისმაილის მიერ XVI საუკუნეში აგებული ფერად სახურავიანი მეჩეთი იდგა. მეორე ნაპირზე კი, იქ, სადაც მტკვარი უხვევს, ზედ მდინარეზე დაკიდული ქარვასლა. მეტეხის ეკლესიას ჯერ კიდევ გარს ერტყა XIX საუკუნეში აგებული ულაჯათო ყაზარმული კოშკისებრი. 1933 წლამდე იქ საკატიმრო იყო“.

დიმიტრი შევარდნაძე ჯიუტად მიიწევს მიზნისკენ. აშკარაა, რომ მისთვის მთავარი დიდი ხნის ჩანაფიქრის შესრულება, ძვირფასი კოლექციის დაბინავება და ხელოვნების მუზეუმის შექმნაა. მიზნის მისაღწევად, კეისარს – კეისრისას აძლევს:

„კულტურული რევოლუციის განვითარება და ფართო მასების მოთხოვნილება ეხლა იმ დონემდე არის აწეული, რომ პარტია და საბჭოთა ხელისუფლება, იმედია, საქართველოშიც, მოიცლის და მიაქცევს სათანადო ყურადღებას ყველაზედ უფრო ჩამორჩენილ მუზეუმის ფრონტს და დაბრკოლებების გადალახვით, მუზეუმებს უფრო სასარგებლოდ გამოიყენებს ფართო მასების კულტურული მოთხოვნილებებისათვის.“

წარმოდგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილებით, მეორე ხუთწლიური

ბოლოში ჩვენ გვექნება ტფილისში „საქართველოს ლუვრი“, რომელიც თავისი ღირსების მთელ საბჭოთა კავშირში ერთ პირველ ადგილთაგანს დაიჭერს და უცხოელთა ყურადღებასაც მიიქცევს“.

1933 წელს, ხელოვნების მუზეუმის მოსაწყობად, საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მეტეხის ციხეს განათლების სახალხო კომისარიატს გადასცემს.

დადგენილების შემოკლებული ტექსტი ასეთია:

„მეტეხის ციხე, რომელიც მეფის რუსეთის დროს ციხედ იქნა გადაქცეული და საქართველოს გასაბჭოებამდე წარმოდგენდა ქართველი და კავკასიელი მშრომელების დამონებისა და ჩაგვრის სიმბოლოს, გადაეცეს საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატს ცენტრალური მუზეუმის „მეტეხის“ და სახვითი ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მოსაწყობად.“

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე“.

ხელოვნების მუზეუმი – „მეტეხი“ 1933 წელს დაარსდა. მის პირველ დირექტორად დიმიტრი შევარდნაძე დაინიშნა.

18 ნოემბერს, მეტეხის პლატოზე, მუზეუმის გახსნის აღსანიშნავად ხალხმრავალი საზეიმო მიტინგი გაიმართა. გახსნაზე, მუზეუმის დირექტორს ციხის გასაღები გადაეცა.

„დღეიდან მეტეხის ციხე ხელოვნების

**„მუზეუმი“** – ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის თაობაზე გაზეთებში მრავალი გამოხმაურება დაიბეჭდა:

**„საპრობილეს ნაცვლად ხელოვნების მუზეუმი“**

დიმიტრი შევარდნაძე


„მეტეხი წარმოადგენდა მშრომელთა ჩაგვრის სიმბოლოს, მეტეხის კედლებს უნახავს მრავალი თავგანწირული სახელოვანი მებრძოლი, რომელთა იდეებისა და მისწრაფებათა გამარჯვებამ მეტეხს, როგორც ჩაგვრის და წამების სიმბოლოს, სასიკვდილო ლახვარი ჩასცა.“

ძველი მეტეხი აღარ არის. საბჭოთა ხელისუფლებების ნებით შენდება ახალი მეტეხი, რომელიც იქნება ხალხის განათლების ერთ-ერთი კერა – ხელოვნების მუზეუმი“.

**„გაუფრთხილდით მეტეხს“**

ალექსანდრე ნუნუნავა

„და აი, დღეს უკვე ფაქტია, რომ მეტეხი საპრობილე აღარ არის. დღეიდან მეტეხი იქნება ხელოვნების და ადამიანის საუკეთესო მისწრაფებათა საუბნე,“



მეტეხის მუზეუმის გახსნისადმი მიძღვნილი ლექსი, გაზეთი „კომუნისტი“, 1933

დღეიდან ყველა დიდი ინტერესით, თავის ნებით წავა მეტეხში, რომ იგრძნოს ხელოვნების წარმტაცი იერი.

მაშ შევძახოთ ვაშა და გამარჯვება საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას, საქართველოს კომპარტიის ც.კ.-ს და მის გამობრძმედილ ხელმძღვანელს ამხანაგ ლავრენტი ბერიას, რომელმაც ერთი ხელის დაკვრით შეარყია შემწარავი წარსულის კედლები, მოსპო საპრობილე ხელოვნების ასაყვავებლად.

კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს ასეთი მაგალითი. ძირს ძველი მეტეხი, გაუმარჯოს ახალ მეტეხს!“

**„ორი ისტორია“**

სანდრო ახმეტელი

„მეტეხი – სიმაგრე, მეტეხი თავისუფლების ცხრაკლიტული...“

მეტეხი – შეურაცხყოფა, მეტეხი ბორკილი...“

მეტეხი კულტურის ციტადელი – ხელოვნების მუზეუმი... ორი ისტორია მეტეხის... სულ სხვა და სხვა სახის...“

ფეოდალურმა საქართველომ და მონარქიულმა რუსეთმა მეტეხი – სიმაგრე, მეტეხი – საპრობილე ააგეს.

საბჭოთა ხელისუფლებამ მეტეხი ხელოვნებათა საკრებულოდ აქცია.


დღეიდან მეტეხი სოციალისტური საქართველოს შემოქმედებითი გულით დაიწყებს ცემას!

სალამი ახალ მეტეხს!“

**„მშრომელთა კულტურული დონის ზრდის უტყუარი მაჩვენებელი“**

უშანგი ჩხეიძე

„ისტორიული ნაშთების მიმართ, რა ბნელი წარსულითაც არ უნდა იყოს მოცული მათი გარდასული დღეები, ხალხში ყოველთვისაა განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა. მეტეხს კი მუდამ სიძულვილით იხსენიებდნენ. მეტეხის კედლებში რუსეთის იმპერატორების პოლიტიკა ახშობდა ადამიანების უკეთილშობილეს იდეებს; მეტეხი ასახიჩრებდა საუკეთესო ვაჟკაცებს; მეტეხში ილუწებოდა ძვლები ქართველი რევოლუციონერების; მეტეხიდან ათასობით მიდიოდნენ ყინულიან ციმბირის ველებისკენ და ტაიგებში იმარხებოდა მოწინავე ადამიანების ზრახვები. მეტეხივე სჭედდა ფოლადისებურ მებრძოლებს. ვერ გატეხეს ხალხის ნებისყოფა რუსეთის“



დimitრი შვინაძის ხელმოწერა, მუზეუმ "მეტიხის" სანარმოო გეგმა, 1934

იმპერატორებმა.

გამარჯვებული მუშათა კლასი დღეს უდიდესი ენთუზიაზმით აშენებს საბჭოთა ქვეყნების გიგანტებს; ამავე დროს, ის არ ივიწყებს კულტურულ ფრონტსაც. მეტიხის ციხის ხელოვნებათა მუზეუმად გარდაქმნა, არის უტყუარი მაჩვენებელი, თუ რამდენად გაიზარდა მშრომელი ხალხის მოთხოვნილებანი, მისი კულტურული დონე; ეს არის უდიდესი მოვლენა საბჭოთა საქართველოს მშრომელთა ცხოვრებაში, ხელისუფლების უაღრესად გაბედული ნაბიჯი“.

**„დიდი ისტორიული აქტი“**

გიორგი ჩუბინიშვილი

„ერთ-ერთი მთავარი წყარო მშრომელთა ფართო მასებში მხატვრული გემოვნების გასავითარებლად ხელოვნების ძეგლებია. ამ ძეგლების სანიმუშოდ დაცვა მხოლოდ მუზეუმებს შეუძლიათ; საამისოდ კი ტფილისში – საქართველოს ცენტრში – არსებობდა მხოლოდ სამხატვრო გალერეა ძალიან შეზღუდული საექსპოზიციო არეთი; იქვე ინახებოდა ქართული ხელოვნების მუზეუმის ქონება.

მეტიხის გადაქცევა მუზეუმად ფართო



დimitრი შვინაძე გურიაში

ასპარეზს იძლევა ახალი კოლოსალური სამუზეუმო მშენებლობისთვის და ხელოვნების ფართო ცენტრის შესაქმნელად. ამიტომ, მეტიხის გადმოცემა გვეკლინება დიდ ისტორიულ აქტად, ფუძედ საბჭოთა საქართველოს ხელოვნების კულტურის განვითარებისა და საქართველოს სამუზეუმო საქმის მოგვარებაში საერთოდ“.

**„ხელოვნების მომავალი ძეგლთსაცავი“**

სანდრო ინაშვილი

„ამიერიდან მეტიხის ციხეს – ხელოვნების მუზეუმს, – ათასობით მიაწყდება არა თავჩაკიდული და გულმოკლული მოსახლეობა, რომელიც ძველად მიეშურებოდა იქ იმ მიზნით, რომ გაეგო თავისი შვილების და მახლობლების წამების ამბავი, არამედ გახარებული და მომავლის იმედით აღსავსე მშრომელები, რომ გაეცნონ ჩვენ კულტურულ მიღწევებს.

ეს შესაძლებლობა შეიქნა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს, ფაქტად იქცა მხოლოდ კომუნისტური პარტიისა და მისი დიადი ბელადის ამხანაგი სტალინის ხელმძღვანელობით.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ აღფრთოვანებით მივკვებოთ მთავრობის ამ გადაწყვეტილებას და არ დავზოგოთ ძალდონე მისი სასწრაფოდ განხორციელებისთვის“.

**„სალამი ქართული საბჭოთა კულტურის ახალ კერას!“**

კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის კოლექტივი

„ციხე მეტიხი, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ხელთ ეჭირათ მეფის ჯალათებს თავისუფლებისკენ მისწრაფებულთა აზრის დასახშობად, სოციალიზმის მშენებელთა კლასმა, მისმა პარტიამ ხელოვნების მუზეუმად აქცია. რევოლუციონერ კომუნართა საპყრობილეს საკნები ხელოვნების ძეგლთა საგამოფენო დარბაზებად გადაიქცევა.

ჩვენი თეატრის მთელი კოლექტივი განსაკუთრებული სიხარულით ხვდება და ზეიმობს ამ უდიდესი მნიშვნელობის

გამარჯვებას. ჩვენ გვალფრთოვანებს და ძალას გვმატებს საბჭოთა კულტურის შეუჩერებელი წინსვლის ეს ახალი მაჩვენებელი.

ჩვენი სალამი ქართული საბჭოთა კულტურის მშენებლობის მესვეურს – საქართველოს კომუნისტური პარტიის ც. კ.-ს და ამხანაგ ლავრენტი ბერიას, რომლის ინიციატივითაც განხორციელდა ეს მშვენიერი ამოცანა. სალამი ხელოვნების მუზეუმს – ქართული საბჭოთა კულტურის ახალ კერას!”

მეტეხის მუზეუმის გახსნას „სალიტერატურო გაზეთიც“ გამოეხმაურა:

### „მეტეხი“

ლეო ქიაჩელი

„დღეიდან მეტეხი საქართველოს ხელოვნების მუზეუმია. ეს ისეთი დიდი ამბავია, რომელიც უთუოდ ისტორიულ თარიღად აღიბეჭდება ჩვენი კულტურის ისტორიაში. ასეთი ფაქტები გარდატეხას ახდენენ ხალხის ყოფაში და უდიდეს გაქანებას აძლევენ მის შემოქმედებას.

მეტეხი – ხელოვნების სასახლე, სოციალისტური და რევოლუციური პროლეტარიატის მარჯვედ მოქმედი



ილია ჭავჭავაძის დაბადების 100 წლის საიუბილეო გამოფენა, ეროვნული სამხატვრო გალერეა, 1937

დაკვრას წარსულის წყვილიაღზე, რომელიც ჩვენი დედაქალაქის შუაგულში იყო გაწოლილი და გვაწამებდა თავის კოშმარებით. ჩემი ალფრთოვანებული სალამი პროლეტარიატის იმ მარჯვენას, რომელმაც მეტეხი ქართულ კულტურას დაუბრუნა“.

### „ცინეზ მოგიკვდეს ამშენებელი“

ნიკოლო მინიშვილი

„ცინე დაიპყრო კულტურამ.

მეტეხი გადაიქცა ჩვენ საამაყო ფუძედ.

ბედნიერია ის კაცი, ვისაც საქართველოს მთავრობა მიანიჭებს მეტეხის მუზეუმის პირველ დირექტორის საპატიო თანამდებობას.

ასე იცვლება ქვეყნის სახე და იცვლებიან სიმღერებიც.

ეს არავის არ შეეძლო ექნა.

ეს შესძლო გამარჯვებულ კლასის ძალამ და ამ ძალის და სიბრძნის გამომსახველმა პარტიამ.

და დღეს ქართველ მშრომელ ხალხთან ერთად პოეტს უკვე შეუძლია სთქვას სხვა სიმღერა – დამშვენებული და გაკეთილშობილებული „ცინის“ შესახებ“.

### „მეტეხი – ათენიუმი“

კონსტანტინე გამსახურდია

„მეტეხი: ჟრუჟანტელის მომგვრელი სახელი იყო ოდესღაც, უკანასკნელ საუკუნეში უსიამო ჟრუჟანტელისა.

მხოლოდ რომანოვების პირსისხლიან რეჟიმს თუ შეეძლო ეგ ზომ ინკვიზიციური აზრისთვის მიეგნო: ისტორიული ძეგლი საპყრობილედ ექცია.

მეტეხში დავაჟკაცდნენ ჩვენი რევოლუციონერები და სირცხვილიც იქნებოდა ახალ საქართველოში მეტეხის დილეგად დატოვება.

მეტეხს ჩვენს დედაქალაქში ისეთივე ბრწყინვალე ადგილი უჭირავს, როგორც აკროპოლისს ათინაში, „ანგელოზის ციხეს“ რომში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მისმა ხელმძღვანელმა ამხანაგმა ლავრენტი ბერიამ, თავიანთი მართლაც ისტორიული დადგენილებით კიდევ ერთ დიდ საქმეს ჩაუყარეს საძირკველი.

მეტეხში უნდა მოეწყოს ძველი და ახალი

მხატვრობის, ხელოთმოდღვრების და სკულპტურის მუზეუმები, გამოსაფენი დარბაზები, მხატვართათვის საჭირო შუქმდიდარი ატელიეები. მეტეხში უნდა გამოვფინოთ საქართველოს დიდი მონუმენტალური ძეგლების პირები, გეგმები, რეპროდუქციები, ფრესკების პირები და სხვ.

იქ სადაც ბნელის საუფლო იყო, ნათელმა უნდა დაივანოს.

სადაც მშრომელ ხალხისთვის ბორკილებს სჭედდნენ, იქ იმავე ხალხის შვილებმა ახალი კულტურა უნდა შექმნან.

მეტეხი ახალი ქართული საბჭოთა კულტურის ბრწყინვალე ათენეუმად უნდა იქცეს“.

### „ისტორიული აქტი“

ტიციან ტაბიძე

„მეტეხის საპყრობილე, რომ დღეიდან ხელოვნების მუზეუმად გარდაიქმნა ეს ისეთი ფაქტია – რომელიც თავის თავად ისტორიულ მიჯნას აღნიშნავს და თაობიდან თაობამდე ამის მნიშვნელობა უფრო დაფასებული იქნება.

უქველია ეს იყო განუხორციელებელი ოცნება გადასულ თაობათა, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს, ეს ოცნება საქმედ იქცა და ოქტომბრის რევოლუციის 16 წლის თავზე საბჭოთა საქართველოში შეიქმნა ასეთი კულტურის ციტადელი.

როგორც წითელი კრემლი მსოფლიოში ითვლება სოციალისტურ რევოლუციის მერიდიანად, ამიერიდან მეტეხიც წინა აზიაში დაჩაგრულ ერებს აენტება კანდელად და აჩვენებს, თუ როგორია ლენინის ეროვნული პოლიტიკის ცხოველყოფელი გზა.

რუსეთის ცარიზმის სატრაპი გენერალი ერმოლოვისა და მენშევიკურ ხელისუფლებათა მიერ საპყრობილედ გადაქცეული მეტეხი – რევოლუციისთვის თავდადებულ გმირების აკლდამა იყო – მაგრამ ამ მეტეხში ჩაკირულ რევოლუციონერთა საქმემ გატენა ცარიზმი და წამებისა და ტანჯვის ადგილი საპყრობილის მაგიერ აქცია უდიდეს კულტურის იარაღად, საიდანაც შეიქმნებიან სახვითი ხელოვნების ახალი ოსტატები და სადაც შეგროვილი იქნება რაც კულტურულ მემკვიდრეობით მიუღია სოციალისტურ საქართველოს“.

### „გაუმარჯოს ახალ მეტეხს!“

გიორგი ლეონიძე  
„მეტეხის განთავისუფლება საპატიმროს

სახელწოდებისგან – ეს კიდევ ერთი ზედმეტი დამოწმებაა საბჭოთა საქართველოს კულტურული მშენებლობის წინსვლის. 1829 წელს რუსეთის იმპერიალიზმის სატრაპმა ერმოლოვმა ავლაბრის ანუ ძველი ისანის სიმაღლეზე ააგო ციხე „ბორკილიანი, სიკვდილიანი“, როგორც ნათქვამია ხალხურ სიმღერაში.

მეტეხში V-XVII საუკუნეებში ქართველ მეფეების სასახლე იდგა. შემდეგ, სპარსელების და ოსმალების არსენალი. ხოლო 1800 წელს, ფეოდალურ საქართველოს უკანასკნელ მეფე გიორგი მეცამეტემ, გადასწყვიტა აქ თავისი სასახლის აგება. მეფემ ბრძანა ადგილის გაწმენდა მცხოვრებთაგან. მომავალ სასახლის გეგმა შეადგინა გერმანელ სპეციალისტმა დეიტრიხმა. დიდი ბეგარით, ახალი ხარკის გაწერით ახალი სამეფო სასახლე უნდა გაშენებულიყო. მაგრამ, მოხდა უეცარი ამბავი. პირველ სამუშაოების დროს მეხი დაეცა გაჭრილ საძირკველს. შეშინებულმა მეფემ შეაყენა თავის სასახლის მუშაობა, „მიეცა შიშსა და ოცნებას. ბნელი იგი რაღაცა საიდუმლოებითი კაცთა ბუნებისა შთაუხდა გონებასა და სულსა მისსა“. ტფილისის მცხოვრებნი, „მორწმუნენი და ურწმუნონი, ბუნებისმეტყველნი და ღვთის მეტყველნი“ სხვადასხვაგვარად განმარტავდნენ ამ შემთხვევას. კლერიკალმა მეფემ უმატა ცრემლიან ლოცვას და მოწყალების უხვად გაცემას.



ქეთევან მაღალაშვილი, დიმიტრი შევარდნაძის პორტრეტი, მუყაო, ზეთი. 1921 წ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი

ასე გვიამბობს ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი, რომელიც ბუნების ამ მოვლენაში მეფესთან ერთად მისტიური თვალით ხედავდა იდუმალ ნიშანს და წინასწარმეტყველებას საქართველოს სამეფოს და ბაგრატიონების დინასტიის მოსპობისას.

ეს იყო მისი აზრით ბალთაზარის გამოცხადება.

ისტორიის უღმობელმა მეხმა გააცამტვერა ფეოდალური დინასტიები, დაგეშილი რუსეთის იმპერიალიზმი, უდღეური მენშევიზმი. დღეს ძლევა მოსილ საქართველოს და კავკასიის პროლეტარიატი თავის ბრძოლების, შრომის, და ენთუზიაზმის მეთექვსმეტე წელზე – მეტეხში აშენებს ახალ სასახლეს – ქართულ ხელოვნების მუზეუმს.

გაუმარჯოს ახალ მეტეხს“.

„მართლაც დიდი ამბავი იყო. ქალაქს უბრუნდებოდა ერთ-ერთი უმშვენიერესი და დამახასიათებელი კუთხე, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში გამოთიშული იყო მისგან. მრავალტანჯული მეტეხის ტაძარი აღდგებოდა, როგორც ჩვენი ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი, იქმნებოდა შესაძლებლობა ხელოვნების მუზეუმის დაბინავებისა“, – წერს მოგონებებში ვახტანგ ბერიძე.

**„ყოფილ მეტეხის ციხეში შეკრებილი მიტინგის მისაღმება“**

„ს.კ.პ. ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და საქართველოს კ.პ. ცეკას მდივანს ამ. ლ. ბერიას საქართველოს მუშები, ფართო მშრომელ მასებთან ერთად შევიკრიბეთ რა, მეტეხის ციხის ხელოვნების მუზეუმის მოსაწყობად განათლების კომისარიატისთვის საზეიმო გადაცემის გამო, მხურვალეთ გესაღმებით თქვენ ამიერკავკასიის ბოლშევიკების მეზობლო ბელადს.

თქვენი უშუალო ინიციატივით, მეტეხის ციხე, რომელიც მეფის ხელისუფლებისა და მენშევიკების დიქტატურის დროს, წარმოადგენდა მშრომელთა ჩაგვრის და მორჩილების სიმბოლოს, გადაეცა განათლების კომისარიატს მეცნიერებისა და კულტურის კერად გადაქცევისთვის.

განათლების კომისარიატი ღრმად არის დარწმუნებული, რომ პარტიის ხელისუფლების და თქვენი შემდგომი დახმარებით მუზეუმი გადაიქცევა საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკის სიამაყედ და საბჭოთა კავშირის ღირსშესანიშნავ სამეცნიერო დაწესებულებად. გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიის და

კომინტერნის ბელადს ამხანაგ სტალინს. გაუმარჯოს ა.კ. სამხარეო კომიტეტს, საქართველოს კომპარტიის ცეკას და მათ ხელმძღვანელს – ამხანაგ ბერიას. გაუმარჯოს კულტურულ რევოლუციას“.

მზიანი და თბილი ნოემბრის დღე იყო. მეტეხს გარშემო წითელი დროშები ერტყა, დროშები საკნების ფანჯრებიდანაც ყოფილა გადმოფენილი. ციხის კარი ღია იყო, ყველას შეეძლო შესულიყო და დაეთვალიერებინა მომავალი მუზეუმი.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ პარტიის წარმომადგენლები: ამხანაგი ბეღია, ამხანაგი სილ. თოდრია, ყურულოვი და სხვები. სიტყვით გამომსვლელები მუზეუმისთვის მადლობას უხდიდნენ ლავრენტი ბერიას და იოსებ სტალინს.

სიტყვით გამომსვლელთაგან ყველა აღნიშნავს, რომ ციხის მუზეუმად გადაკეთება ლავრენტი ბერიას ინიციატივით მოხდა.

რომ არ გვცოდნოდა, რომ დიმიტრი შევარდნაძე წლების განმავლობაში ახალ შენობას ითხოვდა მუზეუმისთვის, ამ გამოსვლების და გამოხმაურებების ნაკითხვისას, ალბათ ჩვენც ასე ვიფიქრებდით. მეტეხის ციხე დიმიტრი შევარდნაძის მონდომებით, შრომითა და მიზანდასახულობით იქცა მუზეუმად.

ასეთი დრო იყო. დიმიტრის ღვანლის ხსენებაზე მნიშვნელოვანი და აუცილებელი, ბერიასთვის ხოტბის შესხმა გახლდათ. ალბათ დიმიტრისთვის არც ჰქონდა მნიშვნელობა, თუ ვისი სახელი ეწერებოდა მუზეუმს და ვინ მიიწერდა მის მრავალწლიან გარჯას. მთავარი ის იყო, რომ თბილისს ხელოვნების მუზეუმი ჰქონდა, კეისარს კი კეისრისა უნდა მიეღო:

„ერთი სიტყვით, განხორციელდა ჩვენი სანუკვარი ოცნება, შეიქმნა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, რომლის კოლექციები წარმოადგენენ ჩვენი ერის ნამდვილ საგანძურს“.

მეტეხის მუზეუმი პირველი ხელოვნების მუზეუმი და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტია, რომელიც შეისწავლის ქართულ ხელოვნებას ძველი დროიდან – მეოცე საუკუნემდე.

მეტეხის მუზეუმში ოთხი სექტორია: ძველი ქართული ხელოვნების, აღმოსავლეთის ხელოვნების, თანამედროვე ხელოვნების, ანტიკურ და დასავლეთის ხელოვნების. სექტორების მუშაობას გაუძღვება მეცნიერ-მუშაკთა კოლექტივი. თითოეულ სექტორს ექნება ორგვარი ფუნქცია: საექსპოზიციო და კვლევითი.

არსდება მეტეხის მუზეუმის გამომცემლობა, რომელიც სამეცნიერო-კვლევით ნაშრომებს გამოაქვეყნებს.

კოლექციების შესავსებად მუზეუმი ახალი ნამუშევრების შეძენას გეგმავს.

მუზეუმს მთლიანად გადაეცა ძველი ქართული ხელოვნების კოლექციები, რომლებიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინახებოდა. აგრეთვე, წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების, საეკლესიო მუზეუმის და საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეის კოლექციები.

ხელოვნების მუზეუმ „მეტეხის“ 1934 წლის სანარმოო გეგმაში ვკითხულობთ, რომ საჭიროა მეტეხის სამი კორპუსის და ყოფილი ეკლესიის რემონტი და გადაკეთება. გეგმის მიხედვით, ეკლესია მუზეუმებიდან გამოყოფილი და პროვინციებიდან ჩამოტანილი უძვირფასესი ფონდების დასაცავად უნდა გამოეყენებინათ.

მესამე კორპუსის პირველ სართულზე უნდა განთავსდეს დირექცია, კანცელარია და ბიბლიოთეკა; მეორე და მესამე სართულებზე საგამოფენო დარბაზები.

მეხუთე კორპუსში სარესტავრაციო და ფოტო ლაბორატორიები, სადურგლო, საბეინკლო, სამულაჟო სახელოსნოები.

სიმცირის გამო, მეოთხე კორპუსი საექსპოზიციოდ არ გამოდგებოდა, ამიტომ იქ უნდა განთავსებულიყო საკვლევი კაბინეტები. კორპუსის ნაწილი კი, დროებით საცხოვრებლად გადაეცემოდა ზოგიერთ მეცნიერ-მუშაკს, მათ, ვისაც საცხოვრებელი ფართი არ ჰქონდათ.

დიმიტრი შევარდნაძე მიიჩნევს, რომ არსებული ნაგებობები სრულად ვერ დააკმაყოფილებს ხელოვნების მუზეუმის მოთხოვნას. ის კორპუსებიც, რომელთაც რემონტი ჩაუტარდებათ, მუზეუმისთვის მისაღებია მხოლოდ როგორც დროებითი ბინა. საჭიროა სრულიად ახალი შენობის აგება. ახალი შენობის ასაგებად უნდა გამოცხადდეს კონკურსი.

დიმიტრის გეგმებს განხორციელება არ ეწერა. 1936 წელს, ის მუზეუმის დირექტორის თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მისი გეგმები სხვებმა გადაიბარეს, მისი სიცოცხლე შუა გზაზე შეწყდა.

1936 წელს, ტფილისიც სხვა ქალაქად იქცა. ქალაქს სახელი ოფიციალურად გადაერქვა. ტფილისი იქცა თბილისად. ბევრი, ვინც ქალაქის კულტურას ქმნიდა, ტფილისში დარჩა.

1937 წლის რეპრესიები საქართველოს მეოცე საუკუნის ისტორიის შავი ფურცელია. ბერიას მიერ შექმნილმა „ტროიკებმა“ ათასობით ადამიანს გამოუტანეს განაჩენი.

1937 წელს დახვრიტეს და ხალხის მტრებად გამოაცხადეს მწერლები, რეჟისორები, მსახიობები, მხატვრები, პარტიის მაღალჩინოსნები.

რეპრესიების პარალელურად, თბილისში

იგეგმებოდა და ტარდებოდა კულტურული ღონისძიებები.

1937 წელს, თბილისში ორი მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო დაგეგმილი – ილია ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავი და „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლის იუბილე. ამ თარიღებთან დაკავშირებით უნდა გამოცემულიყო წიგნები, ჩატარებულიყო გამოფენები და ა.შ. ილია ჭავჭავაძის საიუბილეო თარიღისთვის, სამხატვრო გალერეაში მწერლის შემოქმედებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენა მოეწყო. შოთა რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით კი, თბილისში მისი ძეგლის დადგმა გადაწყდა.

ეს იუბილეები სხვადასხვაგვარად დაუკავშირდა დიმიტრი შევარდნაძეს.

ილია ჭავჭავაძის საიუბილეო გამოფენა დიმიტრი შევარდნაძემ გააფორმა. ეს მის მიერ მოწყობილი უკანასკნელი გამოფენა აღმოჩნდა.

დიმიტრი შევარდნაძემ ხელი შეუშალა რუსთაველის ძეგლის დადგმას მეტეხის ეკლესიის ადგილას. ეს მისი უკანასკნელი ძალისხმევა იყო ძველი ქართული კულტურის შენარჩუნების საქმეში.

რუსთაველის იუბილეს აღსანიშნავად, ბერიამ მეტეხის ეკლესიის დანგრევა და მის ადგილას რუსთაველის ძეგლის დადგმა გადაწყვიტა. ეკლესიის ასაფეთქებლად გააგზავნა კიდევ ბრიგადა. დიმიტრიმ ბრიგადას ხელი შეუშალა და ეკლესია არ დაანგრევინა. ამფეთქებლები ბრძანების შესასრულებლად აუცილებლად დაბრუნდებოდნენ, ამიტომაც, მეტეხის გადასარჩენად რამდენიმე ადამიანი გაერთიანდა.

მიხეილ ჭავჭავაძის შვილი, ქეთევან ჭავჭავაძის შვილი 1981 წელს იხსენებს, თუ როგორ წავიდნენ მიხეილი, დიმიტრი და სხვები ლავრენტი ბერიასთან მეტეხის ტაძრის გადასარჩენად:

*„ერთ დღეს მამა ამ საკითხის თაობაზე რამდენიმე კაცს მოელაპარაკა. ისინი შეიკრიბნენ და დიდხანს ითათბირეს. მამას მხარში ედგა მეტეხის მუზეუმის დირექტორი, პატრიოტი და დიდად განათლებული პიროვნება დიტო შევარდნაძე, რომელიც მამაზე არანაკლებ განიცდიდა ამ ამბავს. თანხმობა, ამ საქმისთვის ეშველათ, ნიკო მიწიშვილმაც მისცა და შალვა დადიანიც იმავე აზრისა იყო. ამათ კიდევ რამდენიმე კაცი დაემატა. გადაწყდა, ყველანი ერთად, დელეგაციის სახით, იმ პირთან მისულოყვნენ, ვინც ეს განკარგულება გასცა და მისთვის საქმის ვითარება აეხსნათ. ეცადათ, როგორმე შეეცვლევინებინათ გადაწყვეტილება. კარგად ესმოდათ, რომ მათი მხრივ ეს თავგანწირვა იყო, მაგრამ სხვაგვარად არა გამოვიდოდა რა. უკან დასახვევი გზა არა*

ჰქონდათ.

მოხდა ისე, რომ ბოლო წუთებში ზოგმა წასვლაზე უარი განაცხადა. დარჩნენ მამა, დიტო შევარდნაძე და კიდევ ერთი თუ ორი კაცი. მათ გადაწყვიტეს, რაღაც უნდა დაჯდომოდნენ, უკან აღარ დაეხიათ და ამ საქმისთვის ეპატრონათ. ყველას ცუდი განწყობილება და შინაგანი მღელვარება დაეუფლა, რადგან არ იცოდნენ საქმეს რა პირი უჩანდა.

მამა რომ შინ დაბრუნდა, გვიამბო: ოთახში რომ შესულან და იმ პირს მათთვის გადაუხედია, არ სიამოვნებია. მამას სიტყვებით რომ ვთქვათ: „დაგვიჩვენა თუ არა, შავმა აღმურმა გადაჰკრა სახეზე. მან მკვანედ გვითხრა: ასე, დელეგაციის სახით, ერთად არ უნდა მოსულიყავით ჩემთან. ცალ-ცალკე რატომ არ მოხვედით?“

დელეგატებმა საფუძვლიანად დაუსაბუთეს მას, რომ ამ ეკლესიის დანგრევა ბოროტება იქნებოდა ქართველი ხალხის წინაშე, რომ იგი წარმოდგენდა ქართული არქიტექტურის იშვიათ ნიმუშს და მისი ხელის ხლება ყოველად დაუშვებელი იყო.

ხელმძღვანელმა იგრძნო, რომ მას ცხადად დაუმტკიცეს უმეცრება და შეცდომა, რომელიც მან ჩაიდინა. მეტი გზა არ ქონდა, თავისი გადაწყვეტილება უნდა უარეყო. არაფერი შეიმჩნია და უთხრა მათ, რომ შეცვლიდა თავის განკარგულებას. შინ დაბრუნებულ მამას სახეზე ფერი არ ედო. დუმბილის შემდეგ გვითხრა:

„ამ ამბავს ის არ გვაპატიებს. ეს ჩვენ ვიგრძენით და ცოცხალ-მკვდრები წამოვვებით იქიდან“ და გაჩუმდა“.

1955 წელს, ქეთევან მაღალაშვილმა დიმიტრის რეაბილიტაციის საქმეზე შემდეგი ჩვენება მისცა:

„მეტეხის მუზეუმად მოწყობის სამუშაოები გაჩაღებული იყო, როდესაც მოულოდნელად ბერიას განკარგულებით მოვიდა ბრიგადა, რათა მეტეხის ეკლესია აეფეთქებინათ. ეკლესიის ნაცვლად რუსთაველის ძეგლის უნდა დაედგათ. დიმიტრის არ დაუშვა ეკლესიის აფეთქება, ბრიგადა უკან გააბრუნა და ქართული ხელოვნების წარმომადგენლებთან ერთად, დაუყოვნებლივ წავიდა ბერიასთან (გიორგი ჩუბინაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, სანდრო ახმეტელი და სხვები).

მოისმინა რა მათი პროტესტი, ბერიამ მათ შესთავაზა, ეკლესიაზე მეხსიერება ფოტოგრაფიებისა და მაკეტის საშუალებით შეენახათ.

ამაზე მათ მიუგეს – „რას ვუპასუხებთ, თუ გვკითხავენ, რატომ დაანგრეთ

არქიტექტურის ესოდენ ძვირფასი ძეგლი?“

ბერიამ დიმიტრი შევარდნაძის გარდა ყველა დაითხოვა და მას ჰკითხა: „რისთვის მოიყვანეთ ისინი? საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად?“ და დაამატა: „თქვენ მეტეხის ეკლესიას დაანგრევთ, ოღონდ ამჯერად თქვენი სახელით. მე კი დაგეხმარებით მუზეუმისთვის ახალი შენობის აშენებაში“.

დიმიტრის ამ წინადადებაზე კატეგორიული უარი განაცხადა.

ბერიას და დიმიტრის საუბრის შესახებ მე დიმიტრის თავად მომიტხრო.

მალე დიმიტრი მოსკოვში გაემგზავრა და იქ მუზეუმის შენობის ასაშენებლად ხუთი მილიონი მანეთის გამოყოფას მიაღწია. მოსკოვიდან დაბრუნებისთანავე, ის გაფრთხილების გარეშე მოხსნეს მუზეუმის დირექტორის თანამდებობიდან. ამასთანავე, გაზეთში დაიბეჭდა სტატია, რომელიც გამობდა ჯგუფს, რომელთა შორისაც შევარდნაძის გვარიც იყო ნახსენები. მალე დიმიტრი დააპატიმრეს“.

1937 წლის მაისში, კომუნისტური პარტიის X ყრილობაზე, ლავრენტი ბერიამ სხვებთან ერთად შევარდნაძეც ახსენა:

„ზედმეტი არ იქნება სერიოზულად ჩაუფიქრდნენ თავის საქციელს აგრეთვე გამსახურდია, ჯავახიშვილი, მიწიშვილი, შევარდნაძე და კიდევ ზოგიერთები. არავის მივცემთ ნებას ითვალთმაქცოს, ქართველი ხალხი მოატყუოს და საბჭოთა მწერლის ან მხატვრის სახელწოდებას ამოფარებულმა ხალხის მტრებთან ერთად შავი საქმე აკეთოს“.

იმავე წლის ივლისში ბერია ანგარიშს აბარებს სტალინს:

„ანტისაბჭოთა და კონტრ-რევოლუციონერი ელემენტები საქართველოში ძირფესვიანად განადგურდებიან. უკვე დახვრეტილია 200 ადამიანი. ამხანაგ ეჟოვს უკვე გადავუგზავნეთ მასალები 350 ადამიანის დახვრეტის შესახებ. ვფიქრობ, მოგვიწევს არანაკლებ 1000 ადამიანის დახვრეტა, მათ შორის არიან: მემარჯვენეები, ტროცკისტები, ჯაშუშები, დივერსანტები, მავნებლები და ა.შ. აქ არ შედიან ყოფილი კულაკები და გადასახლებიდან დაბრუნებულები“.

წინასწარ განსაზღვრულ ამ რიცხვებს, ლავრენტი ბერიას სასტიკ ბულაღტერიას, საფუძველი სჭირდებოდა – ჩვენება, გამოგონილი, თუ ნამებით მოპოვებული, მაგრამ ქალაქდზე დაწერილი, სადაც ყველა ყველაზე ყველაფერს იტყოდა.

დიმიტრი შევარდნაძის წინააღმდეგ, ასევე

რეპრესირებული საზოგადო მოღვაწის მიერ მიცემულ ჩვენებაში ვკითხულობთ:

„დიმიტრი შევარდნაძე ქართულ ინტელიგენციისა და მხატვართა რიგებში ეწეოდა და ხელმძღვანელობდა კონტრრევოლუციურ, ნაციონალისტურ, მავნებლო სამუშაოს. შევარდნაძის ბინა წარმოადგენდა კონტრრევოლუციონერ და ნაციონალისტურად განწყობილი ინტელიგენციის თავშეყრის და შეხვედრების ადგილს. შევარდნაძის ბინაში იგეგმებოდა აქტიური სამუშაოები „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის“.

დიმიტრი შევარდნაძის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება საქართველოს დამოუკიდებლობისთვის აქტიური მუშაობა აღმოჩნდა. ქეთევან მაღალაშვილს, დაპატიმრებამდე რამდენიმე დღით ადრე, დიმიტრიმ უთხრა: „მე არაფრის მეშინია, რადგან არაფერში ვარ დამნაშავე“.

მეტეხის ციხე, რომელსაც დიმიტრი ოდესლაც აივნებიდან უყურებდა, მისი ცხოვრების დასასრულის ადგილად იქცა.

ქეთევან მაღალაშვილი იხსენებს: „მეტეხს შესწირა მან თავისი სიცოცხლე, დიტოს საფლავი მეტეხთან მგონია“.

დაპატიმრების შემდეგ, მუზეუმის ახალმა დირექტორმა კაბინეტიდან მისი ნივთები გაიტანა და მეტეხის მუზეუმის ეზოში დანვა.

ციხეში დიტომ გამომძიებელს გადასცა ანდერძი, რომლითაც მუზეუმს დაუტოვა მთელი საკუთარი ქონება – კოლექციები, სადურგლო იარაღიც კი.

1937 წელს, 12 ივლისს, გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა მოკლე ანგარიში:

**„ღირსეული სასჯელი ხალხის მოსისხლე მტრებს – ქვენარმავალნი აღგვილნი არიან“**

„ხელოვნების მუზეუმი (ყოფ. მეტეხი) მუშაკები აღფრთოვანებული შეეგებნენ საქართველოს უზენაეს სასამართლოს განაჩენის სისრულეში მოყვანას. სამგზის საზიზღარი მტრების და სამშობლოს მოღალატეების ბ. მდივნის, მ. ტოროშელიძის, მ. ოკუჯავას, გ. ყურულაშვილის, ს. ჩიხლაძის, გ. ელიაშვილის და ნ. ქარცივაძის მიმართ. სახელდახელოდ გამართულ მიტინგზე მოხსენებით გამოვიდა მუზეუმის დირექტორი ამხ. გ. ბუხნიკაშვილი. სიტყვები წარმოსთქვენს პროფ. შ. ამირანაშვილმა, მხატ. ბურდულმა, დუმბაძემ, ვირსალაძემ, დავარაშვილმა და სხვა. ყველა ორატორის სიტყვა გამსჭვალულია ღრმა სიყვარულითა და ერთგულებით საბჭოთა ქვეყნისადმი და უდიდესი მძულვარებით ხალხის მტრებისადმი. მათ შორის, მუზეუმის ყოფილ დირექტორის შევარდნაძისადმი,

რომელიც მთელი თავის „მოღვაწეობის“ მანძილზე შენიღბულ, შხამიან გესლს ანთხევდა ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, დევნიდა მუზეუმიდან საბჭოთა თემატიკას და მის მაგივრად არქაული სიძველეების იდეალიზაციას ახდენდა.

ორგულთა და ჩვენი ქვეყნის გამცემთა პასუხად მუზეუმის მთელი კოლექტივი სიტყვას იძლევა უახლოეს პერიოდში აღმოფხვრან მავნებლო მუშაობის შედეგები და მთელი ენერჯით იბრძოლონ დიდი საბჭოთა ხელოვნებისთვის“.

1952 წელს, მეტეხის ხელოვნების მუზეუმი ყოფილი სასულიერო სემინარიის შენობაში გადავიდა. ამ შენობაში გადასვლის შემდეგაც კი, მუზეუმს „მეტეხს“ ეძახდნენ.

1955 წელს, დიმიტრი შევარდნაძის რეაბილიტაცია მოხდა. სამხედრო პროკურორის, პოლკოვნიკ ცუმაროვის დასკვნაში წერია: „ამ საქმით გასამართლებული ყველა პირის მიმართ წაყენებული განაჩენი უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად და საქმე შეწყდეს მასში დანაშაულის არარსებობის გამო“.

1958 წელს, მეტეხის ციხის კორპუსები დაანგრეს. 60-იან წლებში იქ ვახტანგ გორგასლის ძეგლი დაიდგა.

ვახტანგ ბერიძე მოგონებებში წერს:

„ჩემი ცხოვრების გზაზე იშვიათად შემხვედრია ისეთი მომაჯადოებელი ადამიანი, როგორც დიტო შევარდნაძე იყო. პატარა ტანისა, მხრებში ღრმად ჩამჯდარი თავით, თითქოს ოდნავ კუჩიანიც კი, მშვენიერი თეთრი შეველიურით, მშვენიერი სახით, რომლის გამომეტყველებაც ჩემთვის დიდი შინაგანი ძალის, კეთილშობილებისა და სიკეთის მაჩვენებელი იყო. დასაწინაა, რომ ამ კაცს, რომელმაც 1937 წელს ვერ გადმოაღწია, დღეს ისე არ იცნობენ, როგორც იგი იმსახურებს – მან დიდზე დიდი ამაგი დასდო ჩვენს ეროვნულ მხატვრულ კულტურას, როგორც ქართველ ხელოვანთა პირველი საზოგადოების დამფუძნებელმა, როგორც სურათების ეროვნული გალერეის დამაარსებელმა და პირველმა დირექტორმა, როგორც ქართველი მხატვართათვის მზრუნველმა, როგორც მხატვარმა“.

რეაბილიტაციასთან დაკავშირებით მიცემულ ჩვენებაში ქეთევან მაღალაშვილი ამბობს:

„დიმიტრი გამორჩეულად ნათელი, პატიოსანი პიროვნება გახლდათ. მისი მხატვრული ალლო და უსაზღვრო ერთგულება ბევრს იზიდავდა. ქართველ მხატვრებს ის ფასდაუდებელ სამსახურს უწევდა თავისი რჩევებითა და

მითითებებით“.

მისი ერთგული მეგობარი გიორგი ერისთავი იხსენებს:

„დიტოსთანა უანგარო, კეთილი და მშრომელი კაცი არასოდეს მინახავს. დიტო იყო ჩვენი საზოგადოების სინდისი“.

დიმიტრი შევარდნაძე მართლაც იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის. ეს ბრძოლა საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი სახელოვნებო ინსტიტუციების დაარსება, ფიროსმანის და მეოცე საუკუნის სხვა მხატვრების ნამუშევრების თავმოყრა და მათზე ზრუნვა, ძველი ქართული ხელოვნების მოვლა-პატრონობა იყო.

ვახტანგ კოტეტიშვილი ერთ-ერთ სტატიაში წერდა:

**„ყოველდღიურობას მოქალაქე დარაჯობს, მუდმივობას კი – ხელოვანი“.**

დიმიტრი შევარდნაძე იყო ხელოვანი და ხელოვნების კურატორი, რომელიც საქართველოს მუდმივობას დარაჯობდა და დღესაც დარაჯობს.

ამ სტატიაზე მუშაობისას ხშირად ვსეირნობდი იმ ადგილებში, სადაც ეს ამბები ხდებოდა და ერთი ასეთი ფიქრი ამეკვიატა – რას ვიზამდი ახლა, დიმიტრი რომ შემხვდეს?

სად წავიყვანდი, ან რას ვაჩვენებდი? რას მოვუყვებოდი?

რას ვეტყოდი, როგორ გავაგრძელებ მისი დანყებულ საქმე?

ეროვნულ გალერეაში წავიყვანდი და მის მიერ თავმოყრილ ფიროსმანს ვაჩვენებდი?

თუ ხელოვნების მუზეუმში, მის მიერ ასი წლის წინ შექმნილი კოლექციის მცირე ნაწილს?

რას ვუპასუხებდი, როცა მკითხავდა – ახალი ხელოვნება, თანამედროვე ხელოვნება სად არის გამოფენილი?

ან რას ვეტყოდი, სად არის ის „ქართული ლუვრი“, მთელი ცხოვრება რომ მიუძღვნა?

ახალს ვერაფერს ვაჩვენებდი და ვერაფერს ვეტყოდი.

ისევ თავის თავზე მოვუყვებოდი.

ვეტყოდი, რომ რისი გაკეთებაც საუკუნის წინ სურდა, ის საქმე ჯერაც არაა დასრულებული. ის რომ არა, რაც გვაქვს, ისიც არ გვექნებოდა და რომ ეს ქვეყანა და ამ ქვეყნის ხელოვნება მასზე და მისნაირ ადამიანებზე დგას.